100. მოღვავებს ნება ეძლევათ საქმის მოელი წარმოების განმავლობაში როგორც სარჩელის ან შეებებული მოთხოვნათა საფუძვლები შესცალონ, ისე საჩივარიც ახალის მოთხოვნებით გააფართოვონ და აგრეთვე, მომჩინერის, ან მოპასუხის მხარეს საქმეში ახალი პირებიც ჩააბან.

101. თუ დამტკიცდა, რომ მოწინააღმდეგებს ისეთი საბუთის ქაღალდი მოვალეება, რომელსაც საქმისათვის არსებითი შეიშვნელობა აქვს, სახალხო სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ამ საბუთის წარმოდგენა. თუ სასამართლომ ამ მოთხოვნაზე უარი მიიღო სასამართლოს უფლება აქვს დამტკიცებულად ჩასთვალის ის გარემოება, რის დასაღატურებლებიდაც საბუთის ქაღალდი დასახელებული იყო.

102. თუ მოწმე სხვა სახალხო სასამართლოს

უბანში ბინადრობს, მისი დაკითხვა ამ უკანასკნელს  
სასამართლოს შეიძლება მიენდოს.

### თავი 8.

#### სარჩელის უზრუნველყოფა.

103. მომჩინერის მოთხოვნისამებრ, სახალხო  
სასამართლოს შეუძლიან საქმის ყველა გარემოება-  
თა მიხედვით, უზრუნველყოფის სარჩელი ან უარი  
სთვეს ამაზე.

104. მოპასუხებს შეუძლია გაანთავისუფლოს  
თავისი ქონება, ყადაღისაგან, სასამართლოს დეპო-  
ზიტში საკმარის შეტანით, ან სხვა ქონების  
ან თავისების წარდგენით, რომელსაც სახალხო სა-  
სამართლო საკმარისად იცნობს.

### თავი 9.

#### გადაწყვეტილების დადგენა.

105. როცა სახალხო სასამართლო იცნობს,  
რომ საქმე საკმარის გამორჩევულია, საქმეში მო-  
ნაწილებს დამასკვნელ სიტყვას აძლევს, როს მოს-  
მენის შემთხვეულობრივ მოხატი გადის გადა-  
წყვეტილების დასადგენად.

106. გადაწყვეტილებაში უნდა იღინიშნოს:

- 1) წელიწადი, თვე და რიცხვი, როცა  
მოხდა სასამართლოს სხდომა,
- 2) სასამართლოს შემადგენლობა,
- 3) მხარეების სახელი, წამის სახელი და  
გვარი,
- 4) მოდავეების მოთხოვნანი,
- 5) გადაწყვეტილების არსი და საფუძველი.
- 6) განსაჩინოების წესი.

107. სახალხო სასამართლო ვალდებულია საქ-  
მის გადაწყვეტისათხავე გამოიტანოს თავისი დად-  
გენილება სარჩელის უზრუნველსაყოფ ზომების  
მიღების ან შეცვლის შესახებ, აგრეთვე იმაზე, თუ  
გადაწყვეტილება წინასწარ აღსასრულებელია.

### თავი 10.

#### გადაწყვეტილების აღსრულება.

108. გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეთა  
გამო სისრულეში მოჰყავს და ყოველგვარ ფულად  
საურავს თხილენებს სასამართლოს აღმასრულებელი  
ან მოლიცია.

109. დაინტერესებულ პირებს შეუძლია გადა-  
წყვეტილების აღმასრულებელთა მოქმედებანი ორი  
კვირის განმავლობაში გაასაჩინონ სახალხო სასა-  
მართლოში.

110. გადაწყვეტილება მხოლოდ სადაც სადა-  
წეო კრიცელდება და მხოლოდ საქმის მონაწილე-  
თათვის არის სავალდებულო.

#### გაცოლილება III.

##### სახალხო მოსამართლეთა საბჭო.

111. სახალხო სასამართლოების განაჩენების,  
გადაწყვეტილების და მოქმედებათ გამო შემო-

ტანილ საკასაციო და კერძო საჩივრების უფლებელი  
ვას და აგრეთვე სახალხო სასამართლებრივ უფლებელი  
ლოგოს კინტროლს ეწევა სახალხო მოსამართლეთა  
საბჭო.

**შენიშვნა.** სახალხო სასამართლების და  
სახალხო მოსამართლეთა საბჭოს განაჩენების  
და გადაწყვეტილებებზე უმაღლესი კონტრო-  
ლი ეკუთვნის იუსტიციის სახალხო კომისა-  
რიატის და განსაკუთრებულის დებულებით გა-  
ნისაზღვრება.

112. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს შე-  
ღებენ:

- ა) თავმჯდომარე და მისი მოადგილე.
- ბ) ათი მუდმივი წევრი და
- გ) რესპუბლიკის სახალხო მოსამართლე-  
ნი, რომლებიც როგორიც მონაწილეობენ  
საბჭოთა სხდომებზე.

113. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს თავ-  
მჯდომარეს, მის მოადგილეს და მუდმივ წევრებს  
ირჩევს რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა  
ურილობა თავის წრიდან და მტკიცებს საქართვე-  
ლოს საბჭოთა ცენტრალი აღმასრულებელი კომი-  
ტეტი. ესენივე შედეგენებ სახალხო მოსამართლეთა  
საბჭოს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმის წევრებს უკანვე  
იწვევს საქართველოს საბჭოთა ცენტრალი აღმას-  
რულებები კომიტეტი ან თავისი თაოსნობით ან  
სახალხო მოსამართლეთა ურილობის წარდგენით.

114. შემოსულ საქმეთა განსახილებული სა-  
ხალხო მოსამართლეთა საბჭოში ეწეობა სისხლის  
სამართლის და სამოქალაქო განყოფლებანი, რო-  
მელთაც განაცხებენ სახალხო მოსამართლეთა საბ-  
ჭოს პრეზიდიუმის წევრები. მაზრებში საქმეების  
განსახილებული და სახალხო მოსამართლეთა საბჭო  
მიმოსვლელ სესიებს აწყობს.

115. საქასაციო და კერძო საჩივრების გან-  
სახილებული და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს სხდო-  
მები ხუთი წევრისაგან სდება, ორი მათგანი უნდა  
იყოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუ-  
მის წევრი, სამი კი სახალხო მოსამართლე, სახალ-  
ხო მოსამართლეთა ურილობის მიერ შემსუბურებული  
წესით გამოწვეული ორი კვირის გადამდე სახალხო  
მოსამართლეთა საბჭოს სხდომებზე დასისწრებულიდა.  
საჩივრების განხილვა სახალხო მოსამართლეთა მო-  
ქმედების გამო და კონტროლის მოხდენა სახალხო  
მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს ეკისრება, რო-  
მელიც ამ კანტროლს ანხორციელებს, ან უშუა-  
ლოდ ან და იუსტიციის აღგილობრივი განყოფი-  
ლებით საშვალებით.

116. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს სხდო-  
მების ხელმძღვანელობა თითოეულ განყოფილებაში  
ევალება თავმჯდომარეს სახალხო მოსამართლეთა  
საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობიდან.

117. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მიერ  
საქმის განხილვის დღეს იბარებიან: ბრალდებულ-  
ნი, დაზარალდებულნი, ბრალმდებელნი, მხარეები  
და ის პირნიცა, რომლებსაც წიგნიერსაბუთებზე თ

ვისი უფლება აქვთ გამოცხადებული, ხოლო დაბარებულთა გამოცხადებლობა საქმის გარჩევის არ აფერხებს იმ შემთხვევის გარდა, როცა მათ დაწყებას საბჭო აუცილებლად მიიჩნევს.

118. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს განაჩენი და გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ ასეგითად სკუნძის დეკრეტების დარღვევების ან უწესო შეფარდება-გატარების, კერძო—სამართლის წარმოების წესის დარღვევების, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ გამოძიება უსრულო, სახალხო მოსამართლეთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს სახალხო სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება იმ შემთხვევებშიც, თუ განსაჩინობებული განაჩენი ან გადაწყვეტილება ცხად უსამართლო.

119. საქმის გარჩევის დროს სახალხო მოსამართლეთა საბჭო ამ არის შეზღუდული საკითხის სახის ფარგლებით და მასში ნაჩვენები საბაბებით,

120. განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმების დროს სახალხო მოსამართლეთა საბჭომ უნდა აღნიშნოს: რაში მდგომარეობს სახელდობრ კანონის უწესო შეფარდება, სამართლის წარმოების რომელი ფორმა დარღვეული, ან და რაში გამოიხარ გამოძიების უსრულობა ან გაუქმებულ განაჩენის ან გადაწყვეტილების აშერა უსამართლობა.

121. გაუქმების რა განაჩენს, ან გადაწყვეტილებას, სახალხო მოსამართლეთა საბჭო საქმეს სხვა სახალხო სასამართლოს გადაცემს ასეგითად ხელმორედ განსახილებულ განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმების დაზრსაბუთებაში სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მიერ მიკემული განპარტებანი სავალდებულო საქმის გადამსინჯველ სასამართლოსთვის.

122. თუ ვინიცობა განაჩენი, ან გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა, საქმე სამი დღის განძლივიაში იმ სახალხო სასამართლოს გვზავნება, რომელსაც მიენდო მისი ხელახლი განხილვა, ხოლო სახალხო მოსამართლეთა საბჭოს განაჩენის თუ გადაწყვეტილების პირი გვზავნება სახელმძღვანელოდ იმ სახალხო სასამართლოს, რომელ საც გაუქმებული განაჩენი ან გადაწყვეტილება დაუდგენია.

სასამართლოს ხარჯები.

123. სახალხო სასამართლოს უფლება აქვს საქმის მონაწილენი არა კეთილ-სინდისიერი სარჩევლისა და დავისათვის დაჯარიმის რესპუბლიკის სასარგებლოდ, აგრეთვე მიუსაჯოს მართვი მთარეს საქმისათვის გაწეული ხარჯების საზღაური.

124. გამომძიებლის დამასკვნელ დადგენილებისა და სახალხო სასამართლოს განაჩენის პირი ბრალდებულთ, როცა ასეთებს თხოვლობენ, უფასოდ ეძლევათ. ყველა სხვა შემთხვევებში, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებიდან პირები გაიკეთინ მხოლოდ სახალხო მოსამართლის ან და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრის დადგენილებით.

125. ამ შემთხვევაში პირის გაცემისთვის გადასახადი იმდევნი და იმ წესით გამოერთმევათ, რემდევნიც და რა წესიც განსაზღვრულია იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით, ამისთანევე სასამართლოს უფლება აქვს ხელმოყელ მოქალაქენი განთავისუფლობს ამ გადასახადისაგან.

125. კიორე ადგრლობრივიდ აირჩევილენ შუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ამ დებულებაში აღნიშნულ მათ მოვალეობას სათანადო სარევოლოუციო კომიტეტები ისრულებენ, ხოლო საქართველოს საბჭოთა ცენტრალუ აღმასრულებელი კომიტეტის მოვალეობას ასრულებს საქართველოს სარევოლოუციო კომიტეტი.

საქართველოს ს. ს. რ. სარევოლოუციო კომიტეტის თავმჯდომარე მ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ჭავათაძე. სარევოლოუციო კომ. მდივანი ალ. სალორიძე. 1921 წ. ივნისის 30.

ტფილისი — სასახლე.

დამტკიცებულია საქართველოს რევოლუციონისაგან, 1921 წლის აპრილის თარიღით.  
საქართველოს რევოლუციონისაგან გამოიჩინება.

## დ ე გ ე ლ ე ბ ა

რევოლუციონურ ტრიბუნალების შესახებ.

### თავი I

ორგანიზაცია ტრიბუნალებისა.

შეს. 1. იმ აზრით, რომ ბრძოლი გამოეცხადოს რევოლუციონური წესრიგისა და საბჭოთა ხელისუფლება-ავტორიტეტის დარღვევა-დასუსტებისაკენ მიმართულ კონტრ-რევოლუციონურობითა და სხვათა მოქმედების, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში დროებით არსდება რევოლუციონური ტრიბუნალები.

შეს. 2. ტრიბუნალები არსდება საქართველოს რევოლუციის დადგენილებით.

შეს. 3. რევ. ტრიბუნალს შეადგენს; მუდმივი თავმჯდომარე ტრიბუნალისა და ორი დროებითი წევრი.

შეს. 4. ტრიბუნალების მუდმივ თავმჯდომარებათა და დროებითი წევრებიდან სამ-სამი თვის ვალით,— ადგილობრივ რევიოლუციისაგან ინიშნებიან გამოცილი პოლიტკური მუშავი. ამავე რევიოლუციების დადგენილებით, თითოეული წევრი ტრიბუნალისა შეიძლება იქნას როგორც აზეული ხელმორედ, ისე გამოწყვეტილი, ვალის შესრულებამდე.

შეს. 5. ადგრლობრივ საკიბრებათა მიხედვით აგრეთვე ტრიბუნალის მიმოსხლეულ სესიისთვის იქმნება მეორე და მესამე შემადგენლობა.

ტრიბუნალებისა, სამ-სამი წევრისაგან. ესენიც მომჟედებენ თანახმად ამა დებულებისა და ხელმძღვანელობით ტრიბუნალის თავმჯდომარისა, რომელიც თავის მხრივ უნიშნავს მათ თავმჯდომარეს.

შუბ. 6. გარდა საომარ დროის სამხედრო სასამართლოსი, ყველა განსაკუთრებული სასამართლოები და აგრეთვე საგანგებო და სხვა კომისიები, რომელთაც მინიჭებული პენიანთ სასამართლოს ფუნქციები, ან სასამართლოს გარეშე მინდობილები, ამ დებულების შემოღების შემდეგ უქმდებიან.

**შენიშვნა:** გამონაკლისად ამ დებულებისა, სარევოლუციო წევრიებისა და შრომის სუფერვის დასაცავად, საქართველოს საგანგებო კომისიის უფლება აქვს დააპატიმროს ხოლმე იძულებითი მუშაობის ბანაკში, — ვადიო არა უმეტეს ხუთი წლისა — ის მუქთა ხორანი და პარაზიტული ელემენტები, რომლებიც არ-დვევნ სარევოლუციო წესს, მაგრამ მათ მოქმედების გამომძიებელთ კი არ უვარევებათ ხელში საქმაო საბუთი, რომ სისხლის სამართლში შისცენ ისინი.

## თავი II

### საქმეთა დაქვემდებარება.

შუბ. 7. ოჯოლუციონურ ტრიბუნალებს ექვე-მდებარება შემდეგი საქმეები:

ა) კონტრ-რევოლუციონური მოქმედებანი: შეთქმულება, აჯანცება, ტერორისტული აქტი, დარბევა, ჯაშუშობა, სახელმწიფო უბრივი დალატი და ყველა ისეთი საქციელი, რომელიც საქართველოს საბჭოთა წესწყობილებას უმზადებს რამე საფრთხეს.

ბ) აშკარა დამცირება საბჭოთა ხელისუფლებისა და მის მუშაკთაღმი ნდობის დამკარგავი მოქმედება.

გ) მოსამსახურეთა მიერ მძიმე ზოროტმოქმედების ჩადენა: საბოტაჟი, მექრთამეობა, გამოტყენება, თალღითობა (პოდლოგი) სამსახურში, მოთვისება და გაფლანგვა სახალხო ქანებისა, ხელის უფლების გადაჭარბება და უმოქმედობა, რაც განსაკუთრებით ცუდი შედეგების მომტანია.

დ) საქონლითა და ღრიცხვის ქვეშ აღებულ საგნებით სპეციულიაცია და

ე) დეზერტირობა, მისი ხელის შეწყობა, წაქება და მფარველობა, რამდენადაც ეს საქმეები არ ექვემდებარება სამხედრო სასამართლოს.

შუბ. 8. ტრიბუნალის დაგენილება საბოლოოა და განსაჩინოებას არ ექვემდებარება.

## თავი III

### რევოლუციონურ ტრიბუნალების ქვემდებარება საქმეთა წინასწარი წარმოება.

შუბ. 9. რევოლუციონურ ტრიბუნალების ქვემდებარება საქმეების წინასწარ გამომძიებას აწარმოებენ საქართველოს საგანგებო კომისია და სხვა ხე-

გამომძიებლო ორგანოები, რომელთაც უფლება აქვთ ტრიბუნალისადმი უშუალოდ საქმის გადაცემისა.

შუბ. 10. იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალებში შემოსულ საქმეებს სკირიათ დამატებითი გამომძიება, ტრიბუნალები გადასცემენ მათ საგანგებო კომისიის გამომძიების შესახებათ და აგრეთვე იმ საგამომძიებლო ორგანოებს, რომელთაც წარმოადგინება ეს საქმე.

შუბ. 11. საბაბად ტრიბუნალებში საქმის აღმდრისა შეიძლება იყოს ყოველგვარი განცხადება მოქალაქეთა, უწყება თანამდებობის პირთა, ადმინისტრატორულ ერთეულებისა, სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოთა ხელისუფლებისა, გამოცხადება ტრიბუნალში დამნაშავებებისა. გამოსატეხად, თვით ტრიბუნალის დადგენილება გამოტანილი სასამართლოს სხდომაზე საქმის გარჩევის დროს და აგრეთვე, წინადადება საბჭოთა მთავრობის ორგანოებისა.

**შენიშვნა:** თუ განცხადებასა, უწყებასა და წინადადებასთან ერთად ტრიბუნალს მოუკავა ამა თუ იმ საქმის გამო უკვე დამზადებული გამომძიება, ტრიბუნალს უფლება აქვს გამომძიება იყი სცნოს ისე ხრულად და დანაშაული ისე დამტკიცებულად, რომ წინასწარი გამომძიება აღარ მოახდინოს და პირდაპირ შეულებეს საქმის განხილვას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი საქმე გადაეცემა სათანადო საგამომძიებლო ორგანოს.

შუბ. 12. ოჯოლუციონურ ტრიბუნალებს უფლება აქვთ შეამოწმონ საგამომძიებლო მოქმედებანი არა მარტო იმ საქმეების შესახებ, რომლებიც უკვე მიღებული აქვთ, არამედ მათ შეუძლიათ შემოწმება ისეთი საქმეებისა, რომელთაც აწარმოებენ საგანგებო კომისია და სხვა საგამომძიებლო ორგანოები და რომელთა შესახებაც ძიება უკვე დასრულებულია.

შუბ. 13. ტრიბუნალის წევრებს, ტრიბუნალის დავალებით, უფლება აქვთ ინახულონ ხოლმე საბატიმროები და შეამოწმონ კანონიერება ამა თუ იმ ტუსალის დაპრიმრებისა. ტრიბუნალის განმკარგულებელ სხდომაზე იგინი აცხადებენ ნახულუკანონობას და წინადადებას აძლევენ იმ დაწესებულებათ, ვისებდაც ითვლება ტუსალი, შესცალონ გამკვეთი ზომები. ასეთი დაწესებულებები მოვალეა შეიღი დღის განმავლობაში ან გაანთავისუფლოს პატიმარი, ან და წარმოადგინოს დასაბუთებული აღსნა-განმარტება ტრიბუნალის მიერ აღძრულ საკითხზე.

შუბ. 14. ტრიბუნალში შემოსულ საქმეთა შესახებ მოხსენებების მოსამზადებლით და დასკვნის შესაღებად, ტრიბუნალებთან იმყოფებიან განსაკუთრებული გამომძიებელ-მომხსენებელები, რომლებიც მოქმედებენ ტრიბუნალის თავმჯდომარისა, ან და მისგან დანიშვნით, ტრიბუნალის ერთ-ერთი წევრის ზედამხედველობის ქვეშ.

**შენიშვნა:** როცა დამნაშავეს სამართალი

ში აღლევდნ, გამომძიებელ მომხსენებლის და-  
სკრინის შეძლებისა დაგვარად, დაწვრილებით  
უნდა იყოს განმარტებული საქმის ვითარება  
და წარდგენილ ბრალდებათა დასაბუთება.

**მუხ. 15.** განსაკუთრებულ შემთხვევებში ტრი-  
ბუნალებს უფლება აქვთ გადასცენ ამ გამომძიებელ-  
მომხსენებლებს დამატებითი გამოძიებისათვის ის  
საქმეები, რომლებიც ტრიბუნალებში არის შემო-  
სული საჭარმოებლად, განსაკუთრებულ კომისი-  
ოსა და სხვა საგამომძიებლო ორგანოთა გარეშე.

**მუხ. 16.** ტრიბუნალების გამომძიებელთა და-  
დგენილებანი შესახებ: დაპატიმრებისა, ამოკრებისა,  
გაქმნებისა, ტუსალთა განთავისუფლებისა და მომ-  
კვეთ ზომებისა, აგრეთვე ახალ პირთა დამნაშავედ  
აღიარებისა, მხოლოდ მაშინ შედიან ძალაში, რო-  
ცა ამ დადგენილებას ხელს აწერს ტრიბუნალის  
თავმჯდომარე, ან ის წევრი, რომლის ზედახელვე-  
ლობის ქვეშაც მოქმედებს გამომძიებელი.

**მუხ. 17.** იმ ადგილებში, სადაც ტრიბუნალი  
არ არის, ტრიბუნალებს უფლება აქვთ დამა-  
ტებითი გამოძიება მიანდონ სხვა გამომძიებელთ  
და ძიების ორგანოებს.

#### თავი IV

წინასწარი მოქმედებანი საქმეთა ხასიათის და-  
ში გასარჩევად.

**მუხ. 18.** განხილვა საქმეებისა განმკარგულე-  
ბელ სხდომებზე, საქმის სასამართლოში გასარჩე-  
ვად განკარგულებანი და თვით განხილვა საქმეები-  
სა ტრიბუნალის სამოსამართლო სხდომებზე ხდება  
იმ საერთო წესით, რომელიც მიღებულია სახალ-  
ხო სასამართლოებში, გარდა ქვემომ ამისა მო-  
ყვანილ მუხლებში აღნიშნულ გამონაკლისებისა.

**მუხ. 19.** არა უკვინეს 7 დღისა, საქმის ტრი-  
ბუნალში შემოსვლიდან, თავმჯდომარე ტრიბუ-  
ნალისა, ან თავმჯდომარის მინდობილობით, ერთ-  
ერთი წევრი ტრიბუნალისა უკეთებს მოხსენებას  
ამ საქმის შესახებ ტრიბუნალს განმკარგულებელ  
სხდომაზე. ამ სხდომაზეა დამოკიდებული: დამტ-  
კიცება გამომძიებელ-მომხსენებლის დასკვნისა, და-  
ნიშნება საქმისა გასარჩევად, მოსპობა საქმისა, და-  
ნიშნება დამატებითი გამოძიებისა, ან გადაცემა სა-  
ქმისა სახალხო სასამართლოსადმი ქვემდებარობი-  
სამებრ. საქმის ტრიბუნალში გასარჩევად გადაცე-  
მის შესახებ დადგენილებასთან ერთად სწყლება  
აგრეთვე საკითხები შესახებ: წინასწარ გამოძიება-  
ზე დაკითხულ მოწმებისა და ექსპერტების გამო-  
წვევისა, დამატკიცებელ ნივთიერ საბუთების მო-  
ტანისა და სხვა ისეთი გარემოებანი, რომელთაც  
კავშირი აქვთ სასამართლოში გასარჩევად დანიშ-  
ნულ საქმესთან. ამავე განმკარგულებელ სხდომაზე  
ირჩევა: დამნაშავეთა და მათ მახლობელ, ან საქ-  
მესთან დამოკიდების მქონებელ პირთა შეამდგომ-  
ლობანი და აგრეთვე საჩივრები წარმოებულ გამო-  
ძიების შესახებ. ყველა ეს შეამდგომლობა და სა-  
ჩივრები, ტრიბუნალის მიერ სასამართლოში საქ-

მის განხილვის დანიშნუამდე, უნდა უკრთხუ შემო-  
სული.

**მუხ. 20.** ტრიბუნალის სამოსამართლო სხდო-  
მაზე საქმის გარჩევა იწყება არა უკვინეს 7 დღი-  
სა, ტრიბუნალის განმკარგულებელ სხდომიდან,  
რომელ სხდომაზედაც გადაწყდა ამა თუ იმ საქმის  
გარჩევა.

**მუხ. 21.** თუ საქმიდან არა სჩანს ისეთი ვი-  
თონებანი, რომლებიც აღნიშნულნი არიან ამა დე-  
ბულების შე-7 მუხლში და საქმე ეგზავნება სათა-  
ნადო სახალხო სასამართლოს, მეშინ ტრიბუნალის  
განმკარგულებელ სხდომაზე გამოტანილ უნდა იქ-  
მნეს დასაბუთებული დადგენილება ამის შესახებ.

**მუხ. 22.** ტრიბუნალის სამოსამართლო სხდო-  
მაზე წინასწარ გამოძიებაზე დაკითხულ მოწმები-  
სა და ექსპერტების გამოწვევის შესახებ საკითხის  
გადაწყვეტის დროს, ტრიბუნალი ანგარიშს უწევს  
მხოლოდ იმ გარემოებას, თუ რამდენად ნათელია  
საქმე, და წინასწარ გამოძიების რომელი ნაკლის,  
ან საქმიდან გამომდინარე რომელი წინააღმდეგო-  
ბის შესება-შესწორებისათვის, ან რომელ ხევნების  
შესამოწმებლად არის საკირო მოწმეთა გამოწვევა:  
იმ შემთხვევაში, როცა ტრიბუნალი საკიროდ არა  
სცნობს მოწმეთა გამოწვევას, ტრიბუნალი ადგენს:  
დაკიაყოფილდეს სასამართლოს წინაშე მოწმეთა  
ჩვენების მხოლოდ წაკითხვით.

**მუხ. 23.** საქმის ხელის ხელის დამოძიება, ან  
დამატებითი გამოძიება ხდება მხოლოდ იმ შემთ-  
ხვევაში, როცა ტრიბუნალი დაინახავს ისეთს ნაკლის  
წარმოდგენილ გამოძიებისას, რომლის გამოსწო-  
რებაც სამოსამართლო სხდომაზე ყოვლად შეუ-  
ძლებელია.

ასევე გამომძიებელ-მომხსენებლის დასკნისა  
და ტრიბუნალის დადგენილებისა მოწმეთა და ექს-  
პერტების გამოწვევის შესახებ, ეგზავნება ბრალ-  
დებულს, რომელსაც უფლება ეძლევა 48 საათის  
განმავლობაში წარმოადგინოს შეაძლევომლობანი,  
თუ საჩივრი გამომძიებელზე. ეს შეაძლევომლო-  
ბანი და საჩივრები უნდა განხილულ იქმნენ ტრი-  
ბუნალის მიერ სამოსამართლო სრომისა, ან გან-  
მკარგულებელ სხდომაზე, თუ აღრევე არ განხი-  
ლულია.

**შენიშვნა:** თუ დამნაშავე მოითხოვს,  
სასამართლო საშუალება უნდა მისცეს მას  
საქმის მთელი წარმოების გაცნობისა.

**მუხ. 24.** მონაწილეობა ბრალდებულისა და  
დამტკიცების ტრიბუნალის მიერ გასარჩევ საქმები-  
ში სავალდებულო არ არის და ხდება საერთო  
წესით.

#### თავი V

წესი საქმეთა განხილვისა ტრიბუნალებში.

**მუხ. 25.** ტრიბუნალის სხდომები საჯაროა  
და ხდება ბრალდებულის თანადასწრებით. თუ  
ბრალდებული თანამდება, ან დამტკიცებულია, რომ  
ბრალდებული სამართლის გაურბის, ან იმყოფება

გარეშე საქართველოის საზოგადოების, ბრალდებულის დაუსწრებლობა საქართველოს უფლება აქვს გამოკიცის საქართველოში ტრიბუნალს უფლება აქვს გამოკიცის საქართველო, ან გარჩიოს იგი ბრალდებულის დაუსწრებლობა. ეს სრულიად დამოკიდებულია ტრიბუნალის ნება-ყოფლობაზე.

მუხ. 26. წესი მოწმეთა დაკითხვისა, დაშვება, წინასწარ გამოძიების დროს დაუკათხავ და სასამართლოში მარენი ხარჯითა და საშუალებით მოყვანილ ახალ მოწმებისა, გამოქვეყნება გამოუწვევულ, ან გამოწვეულ, მაგრამ სასამართლოში გამოუქადებელ მოწმეთა ჩვენებისა, გამოქვეყნება წინასწარ გამოძიებაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებისა, გამოქვეყნება საქმეში ჩარიცალ დოკუმენტებისა და ახალი საბუთებისა, დამოკიდებულია ტრიბუნალზე და სწყლება ან ტრიბუნალის ნება-ყოფლობით, ან მხარეთა შუალედობლობით.

მუხ. 27. ტრიბუნალს უფლება აქვს შესწყიობის მოწმეთა დაკითხვა, თუ დაინახა ოობ საქმე და ის გარემოება, რომლის შესმოწმებლადაც მოიხსედეს მოწმენი, საქმიად გამოირკვა და თუ მხარეები არ ითხვენ ამ თუ იმ დაუკითხებ ჰოქმის ჩვენების ჩამორთმევას.

მუხ. 28. ტრიბუნალის ნება დართვით, ბრალდებულსა და დამცეცლს უფლება აქვთ მიუთოთონ ყველა დოკუმენტებზე გამოუქლებლივ და აღნიშნონ ყველა ჩვენება მოწმებისა, იმის და მიუხედავათ, გამოქვეყნებული იყვნენ, თუ არა ეს ცოკუმენტები და ჩვენებანი ტრიბუნალის მიერ.

მუხ. 29. საქართველოში გამოძიება ხდება მხოლოდ იმ პირობებში, რომელიც აღნიშვნულია ამ დაბულების ოცდა მესამე მუხლში, ტრიბუნალის მიერ დასაბუთებული დადგენილების გამდანის შემდეგ.

## თავი VI

### განაჩენის გამოტანა.

მუხ. 30. განაჩენი გამოაქვთ ხელის უმრავლესობით და ცხადება საჯაროთ სახელითა საქართველოს სოციალ-სტურა საქმით, რესპუბლიკისა.

მუხ. 31. განაჩენი სდგება წერილობით და ხელს აწერს ტრიბუნალის უკელა წევრი. განაჩენში ნაჩვენები უნდა იყოს: ტრიბუნალის შემადგენლობა, დღე საქართველოსა, სახელი, მასის სახელი, გვარი და წლივნება ბრალდებულით, მისი კლასობრივობა, აღგარი, დრო და თვისება დანაშაულისა, ზომები რეპრესიისა, ან დადგენილება გამორთლების შესახებ.

მუხ. 32. განაჩენის გამოტანის დროს ტრიბუნალები ხელმძღვანელობ ნ მხოლოდ და გარტო საქართველოში გარემოებათა შეფასებითა და პროლეტარულ რევოლუციის ინტერესებით.

მუხ. 33. დანაშაულის დასასჯელ ზომათა დაიშვნისა და არჩევის დროს ტრიბუნალი ყოვლად შეუზღუდება, ასესებულ დეკრეტების ფარგლებში.

მუხ. 34. განაჩენის გარტანის დროს სამსახურო თაობში ყოფნის უფლება არავისა აქვს,

გარდა ტრიბუნალის იმ წევრების რომელიმე სხდომაზე მონაწილეობდენ.

მუხ. 35. სხდომათა მიმღინარეობაზე სდგება ოქმი, რაშ-აკ აღანიშნება: საქმის გარჩევის მთავრი მომენტები, წესი მოწმეთა და დამნაშაულთა დაკავებისა, დედაზორი მათის ჩვენებისა, გამოქვეყნება და წარდგენა დოკუმენტებისა, საგამომშიებლო მოწმედებანი, ყველა კერძო დადგენილება, გამოტანილი ტრიბუნალის მიერ არ თუ იმ მიზეზთა გარე საქართველოს დროს და განცხადებანი ბრალდებულისა, ბრალდებულისა და დამცეცლისა, თუ კი ამის შეს ხედ შეამდგომლობას დამტკიცებს.

მუხ. 36. განაჩენის გამოცხადების დროს, თავმჯდომარე განმარტივს წესს განაჩენის საქასაციო განსახივრებისას, რომლის ასლიც ეძღვება ბრალდებულს არა უგვიანეს 24 საათისა, თუ კი იმუამდგომლებს სასამართლოს წინაშე.

მუხ. 37. ტრიბუნალის განაჩენები ითვლებინ დასრულებულად და განისახივრებიან მხოლოდ ხაკაციო წესით.

შენიშვნა. როგორც გამონაკლისი და ბრულების ამ მუხლში აღნიშნულ წესისა, დადგებულ ვალაზე რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს შეუძლ ა გამოცხადოს თავისი პროტესტი განაჩენის სირბილისა, ან დამნაშავის განთვისუფლების გამო.

მუხ. 38. საქასაციო ს ჩივრები და პროტესტები ტრიბუნალის განაჩენებას გამო, მთელ საქმესთან ერთად, 24 საათის განმ ელობაში ეგზანტნება საქასაციო ტრიბუნალს. ამისთანავე ჩერდება განაჩენის აღსრულება საქართველოს ტრიბუნალის მიერ განხილვამდე, მომკვეთ ზომების მიღებით.

## თავი VII

### საქასაციო ტრიბუნალი.

მუხ. 39. ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენების გამო აღძრულ სახივრებისა და პროტესტების განსახივრების დასრულების საქართველოს რევოლუციონური თავისების საქართველოს რევოლუციონური მიერ არჩევულ თავმჯდომარე, თავმჯდომარე უზენაში ტრიბუნალისა და თავმჯდომარე რევოლუციონურ სიმბორი ტრიბუნალისა, რომლებიც შედიან საქასაციო ტრიბუნალის შემადგრობაში თავის თანამდებობათა გამო, წევრი მომადგენები და თუ საჭირო იქნება, მისი მთავრობითაც ნიშნავს საქართველოს რევოლუციონური მიერ არჩევულ თავის თანამდებობათა გამო, წევრი მომადგენები და თუ საჭირო იქნება, მისი მთავრობითაც ნიშნავს საქართველოს რევოლუციონური მიერ არჩევულ თავის თანამდებობათა გამო.

მუხ. 40. წევრი-მომადგენებლი საქასაციო ტრიბუნალისა, ან მისი მთავრობით, იძლევან მხოლოდ დასკვნებს სახივრებისა და პროტესტების გამო და უფლება არა აქვთ სამსჯავრო თაობში ყონისისა.

მუხ. 41. საქასაციო ტრიბუნალში შემოსული სახივრები და პროტესტები განხილვალ უნდა

იქნან არა უგვიანეს ერთის კვირისა, დღიდან მათ წარდგენისა.

მუხ. 42. ის პირი, რომელმაც წარადგინა საჩივარი ან პროცესტი, თავის დებულებათა დასაცველიდ შეიძლება და შევტულ იქმნებ საქართველოს ეროვნული და მედიუმის გამოცემის გადაწყვეტილი საკასაციო ტრიბუნალის ნება ყოფილიაზე.

მუხ. 43. საკასაციო საჩივრების საბაზია: 1) დარღვევა გა გ. ნ. ჩენის გამოტან ტრიბუნალის მიერ იმ ფორმისა და წესებისა, რომლებიც აღნიშნულნი არიან ამა დებულებაზე და 2) მისჯა რეპრესიის ისეთი ზომისა, რომელიც არ შეეფერება ჩადენილ დანაშაულს.

მუხ. 44. იმ საქმეების, რომელთა გამოცვა აღმრთით საკასაციო საჩივრები, საკასაციო ტრიბუნალი ხელმომტედ გასარჩევად უგზავნის მეორე ტრიბუნალს ან სხვა შემაღვენლობის იმავე ტრიბუნალს.

მუხ. 45. თუ, საკასაციო ტრიბუნალმა სკრო, რომ დამნაშავებათვის მიუყიათ ისეთი სასჯელი, რომელიც სტულიდ არ შე საბამება მის მოქმედების, საკასაციო ტრიბუნალს უფლება იქნა საქართველოს მომართებელ განუხილველ ად, პროდაპირ იშუამდგმლოს საქართველოს რევკომის წინ შე სასჯელის შეცვლის შესახებ.

### თავი VIII

ტრიბუნალების ანგარიშები და ხაჯსაციო ტრიბუნალის უდიშეველობითი უფლებანი.

მუხ. 46. საქართველოს ოქსპუ'ლიკის უკალა რევოლუციონური ტრიბუნალი თავის მოქმედების ანგარიშს აძლევს საკასაციო ტრიბუნალს იმ ვადაზე და იმ წესით, რომელ ვადასა და წესაცემაზე და საკასაციო ტრიბუნალი.

მუხ. 47. წევრი მომხსენებელი უდაქნს საკასაციო ტრიბუნალს ცნობებს ისირეულ სარევოლუციო ტრიბუნალის მოქმედებზე და აგრეთვე აკეთებს მოხსენებებს მის მიერ შემჩნეულ უკან ინობათა და უწესოებათა შესახებ და წ. ნალიდების აძლევს საკასაციო ტრიბუნალს მიიღოს დაცულინირული ზომები სხდომების ხელმისაწერის წინ აღმდეგ თანამდებობიდან დათხოვნითა და სამართლში მიცემითაც კი. ამისთანავე, წევრ სამ-მომხსენებელს უფლება იქნა, თუ საქართველოს დაინახა, მიუხედავად იმისა იქნება აღმრთული საკასაციო ს. ჩივარი, თუ არა გამოითხოვოს ტრიბუნალითან უკეთ და განიხილოს იგინი სარევიზო წესით. იმ შემთხვევაში, როცა უკანონობაა ჩადენილი, საკასაციო ტრიბუნალზე დამოკიდებული, ან გადასცეს საქართველოს უფლებების საქართველოს ტრიბუნალს ან შესცვალოს სასჯელი იმ წესით, რომელიც ნაჩირებია ამა დებულების 45 მუხლში. თვით საკასაციო ტრიბუნალი თავის მოქმედებათა ანგარიშს აძლევს საქართველოს რევკომს.

მუხ. 48 როგორც საკასაციო საჩივრებისა, ისე საკასაციო ტრიბუნალის სარევიზო მოქმედე-

ბათა გამო ახლად წამოვრილ საკიტებების გამოცემის ეროვნული საკიტხებიც მოითხოვენ პრინციპით ასა- ხა-განმარტებას კანონებისას უკელ ტრიბუნალის სახელმძღვანელოთ და აღსასრულებლად, ხდება ცირკულიარებისა, ისტრუქციებისა და განმარტებების გამოცემის გზით. წევრ—მომხსენებელის წინასწარ მოხსენებისა და იუსტიციის სახალხო კომისიისა და სამსახურის დადასტურების შემდეგ.

მუხ. 49. ანგარიშის მიცემა სამხედრო ტრიბუნალისა და უკელ სხვა ტრიბუნალის მიერ ისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით.

### თავი IX

უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალი.

მუხ. 50. უზენაეს რევოლუციონურ ტრიბუნალს ისტორიულოს რევერტი და შესდგება თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან. ეს ტრიბუნალი არჩევს იმ საქმეებს, რომელ საქმეებს გადაწყვეტასაც მიანდობს მას საქართველოს რევერტი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი და საქართველოს საგანგებო კომისია. უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალი საქმეების გარჩევის დროს ხელმძღვანელობს ამ დებულებაში აღნიშნულ წესებით.

მუხლი 51. იმ საქმეების წინასწარ გამოსახილიად, რომელი საქმეებიც უზენაეს რევოლუციბუნალის უნდა გადაეცეს, არსები საგამომძიებლო კომისია, რომლის თავმჯდომარებელისაც ნიშნავს საქართველოს რევკომი.

განსაკუთრებული დებულება.

დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

### დებულება

საქ. ხოც. ხაბ. რესპ რევოლუციონური კომიტეტისა

მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა სოსილურ უზრუნველყოფის შესახებ.

1. მუხლივ. დამარტინს სახელმწიფოსაგან მიიღებინ ის დამახურებულ საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც უცნეირებისა და ხელოვნების ასპარეზზე თავიანთი განსაკუთრებული სასარგელო სისტემატიკური მეცნიერების უმუშევრიათ არი ნაკლებ ოცი წლისა და როგორიც შრომის უნარი სრულიად ან ნაწილობრივ დაკარგვათ.

მენიშნა: ეს უფლება შეიძლება მიეცეს აკადემიურ შრომის უნარდაკარგულ ცოლს და შეაღებს, ოჯახის პატრიოტის გარდაცვალების შემდეგ.

2. პირველ კატეგორიის მოღვაწეების თვიურ შემწეობა უნდა დაენიშნოს გადიდებული იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი ოჯახობრივი მდგრადებელი (თვიური ჯამაგირი იმ თანამდებობისა, —

რომელსაც ისინი მეცნიერებისა და ხელოვნების დაწევში ასრულებდნენ სამსახურისათვის თავის დანებების ღრმას. რაც შექებდა მორე კატეგორიის მოღვაწეებს, მათ შემწეობად უნდა მიეცეს თვითორი ჯამაგირი იმ თანამდებობისა, რომელსაც ისინი ასრულებდნენ სამსახურისათვის თავის დანებების ღრმას.

**შენიშვნა 1:** ფულის გარდა, ყოველ ასეთ მოღვაწეს ეძღვება აკადემიური ულუფა.

**შენიშვნა 2:** მწერლები, არტისტები და სახოგაზოდ თავისუფალი პროფესიის მოღვაწენი აკადემიური ცენტრის მიერ ჩარიცხულ უნდა იქნენ შესაფერ კატეგორიაში.

**3.** დაინტერესებულმა მოღვაწემ შემწეობის მისაღებად უნდა წარუდგინოს აკადემიურ ცენტრს სათანადო დაწესებულებისაგან მიცემული ყოველი საჭირო ცნობა; აკადემიური ცენტრი ამ ცნობას შეცდელობაში მიიღობს და შემწეობის რაოდენობას ისე განსაზღვრას; თავისუფალ პროფესიის მოღვაწეებმა-კი (ისინი, ვინც სამსახურში არ არიან) ასეთი წარსადგენი ცნობა უნდა მიიღონ შესაფერი პროფესიონალური ორგანიზაციისაგან.

**4.** დამსახურებულ მოღვაწეებს, სისტემატიური შემწეობის გარდა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეძღვევათ ერთდროული დაბარება მე-3 მუხ. აღნიშნული წესის მიხედვით.

**5.** იმ დამსახურებულ მოღვაწეებს, რომელთაც მეცნიერებისა და ხელოვნების დაწევში ოცი ან მეტი წელი სისტემატიურად უმსახურინიათ და რომელიც სამსახურში ირიცხებიან, უნდა დაენიშნოთ გადაღებული ჯამაგირი მე-3 მუხ. იღნიშნული წესის მიხედვით.

**6.** დებულება ესე პეულისხმობს იმ პირთ, რომელიც თავიანთი მოღვაწეობით შრომისა და ცოდნის უმაღლეს კვალიფიკაციას ექვთვინიან და მათ სოციალურ უზრუნველყოფას არ უნდა ჰქონდეს ხასიათი პესიისა, რომელიც ჩვეულებრივ მოსახურებებს ეძღვევათ „სამსახურის წელთა“ შესრულების გამო.

**7.** დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარი ა. თუმანი შეილო.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. ხალარიშვი.

1921 წ. ივნის 25.

ტფილისი. — სამსახურ.

## სირკულარი — წერილი

ყველა სამსახური რეველებს.

საქართველოს რეველს მრავალი საბუთი აქვს იმის დამატებიცებელი, რომ აღილობრივი ხელისუფლების მოღვაწეობა რესპუბლიკის თთოქმის მთელ ტერიტორიაზე არ არის ხავსებით დამაქმაყოფილებელი და ვერ სდგას საონადო სიმაღლეზე. ზოგი-

ერთ რეველში აღვილი აქვს მეტად რესპუბლიკური წესწყობილებისათვის მაკვდინებელ მოვლენებს. საბჭოთა სისტემის ყველი მტერზე უარესი და მინებელია ის მოღვაწეობა, რომელსაც ეწვევა ზოგიერთი აღილობრივი რეველის ზოგიერთი წევრები; იქა-აქ მაგ. შენიშნულია პირადი მოსაზრებითა და პირადი სარგებლობის პრინციპით ხელმძღვანელობა, ნათლიმამობია და ნათესავ-ნაცნობობის მეორევლობა, საკუთარი მომარაგებისა და კეთილდღეობისათვის გულდადებული ზრუნვა, ნაკლები ცოდნა აღილობრივ პირობებისა და გულ-ცივი მოყრილი მცხოვრება საჭირო-ბოროტო კითხვებისადმი, მტკიცე ნებისა და საჭირო ინიციატივის უქონლობა, ცენტრის განკარგულებათა დაგვარანტირება, ან მათი სრულიად უყურადღებოთ დატოვება და ზოგჯერ საკუთარი პოლიტიკის წარმოება სოციალ-ეკონომიკურ კითხვების სფეროში, დაბალი ხასიათის კინკლობა რეველის წევრთა შორის და უთანმშოება აღილობრივი მუშათა და პარტიულ ორგანიზაციებთან, მილიციის თვითნებობა, და დასასრულ, ასეთ პირობებში თავისუფალი თარეში ხალხის მტრებისა, და ათასი პროცესუალებისათვის ყოველგვარი სახითა და ფორმით; აირას წარმოადგენს დღეს ზოგიერთი აღილობრივი რეველი და მისი სამფლობელო.

ასეთი პირობები იწვევს ხალხის უქმედუფილებას და ბუნებრივიად მიმყავს იგი ჩვენი მტრების ბანაკში; ეს მდგრადი რეაგირება ამაოდ აქცევს თავ-განწირულ შრომის მუშათა და გლეხთა ძალა-უფლების განვიტრიცებისათვის საქართველოში.

გაცხადება კატეგორიულად. რომ ამ მდგრადი რეაგირების ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოედოს, უსასტიკესი ზომები უნდა იქნეს მიღებული აღილობრივი ხელისუფლების გაჯანსაღებისათვის. თვითეული რეველი უნდა დაგმორჩილოს ცენტრის და სასწრაფოდ, სისწორით უნდა იასრულოს ყოველი მისი განკარგულება; საჭიროა მტკიცე ხელი და ინიციატივის უნარი ცენტრის დირექტორების ფარგლებში; არც ერთი გაუმართლებელი სისუსტე ან რაოდე, რევოლუციონურ ხელისუფლებისათვის საზიანო მოქმედება არავითარ შემთხვევაში დაუსჯელი არ დარჩება; უნდა მოისპონ ყველა სენი, რომელსაც დღეს აღვილი აქვს; აღილობრივი რეველმებმა ნათლიად უნდა შეითვისონ საბჭოთა ხელისუფლების ბუნება და შინაარსი; მათ უნდა შეძლონ მტკიცე კაშირის გაქვედა ახალ ხელისუფლებასა და შშრომელი ხალხის შორის და თვით შშრომელი ხალხი უნდა ჩააბან საერთო აღმშენებლობის ფერხელში. ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადილობოს და ყველაფერი უნდა შეეწიროს ამ ერთს მიზანს; საბჭოთა ხელის უფლების შინაარსის სწორი გაგება, საკუთარი მოვალეობის შეგნება, ერთგული სამსახური, დაკისრებული საქმისადმი ენერგიული და ფხიზელი მუშაობა, — აი საშუალებანი ამ მიზნის განხორციელებისათვის. აღილობრივი რეველმებმა უნდა მოაგვარონ ეს საქმე

და თვითეული მათგანი მტკიცედ და თავდადებით უნდა დადგეს მშრომელი ხალხის და მისი ხელის-უფლების სადარიჯოზე.

სრულიად გადაჭრით მოვითხოვთ ამის თქვენ-გან და ამის აუსრულებლობა გაკისრებთ თქვენ უმძიმეს პასუხისმგებლობას რევოლუციონური მთავრობის წანაშე.

მიღება ამ ცირკულიარისა გვაცნობეთ დაცე-შით.

საქართველოს რევოლუციონური კომიტე-ტის თავმჯდომარე ბ. მდგომარი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირ-კვლია.

## შინაგან საქ. სახ. კომისარ.

### ცირკულიარი

ყველა ზაზრის, ქალაქის, ბათოშის მხარის და სამხრეთ ოხეთის რევკომებს

სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატს უტ-ყუარი ცონბები აქვს, რომ სამაზრო, სარაიონო და სათემორევკომების და სხვადასხვა რევოლუციონურ ორგანოების განკარგულებაში იმყოფება ყო-ფილი მენშევიკური მთავრობის არმიის კუთვნილი დიდხალი იარაღი, სამხედრო მოწყობილობა, სამ-ხედრო ურმები, ცხენები, ხარები და სხვ. სამხედ-რო ქონება, რომელიც მთავრობის შეცვლის ხანა-ში სხვა და სხვა შემთხვევის გამო, უმთავრესად სრულიად უპატრიონოდ მიტოვებული, ჩაუფარდათ აღნიშნულ ორგანიზაციებს და ადგილობრივ მცხო-ვრებებსაც ხელში.

იმ ხანებში სრულიად ბუნებრივი და აუცი-ლებელიც იყო, რომ მიტოვებული ქონება გადა-სულიყო მოსავლელად და შესანახად ადგილობრივ რევკომებისა და სხვა რევოლუციონურ ორგანი-ზაციების განკარგულებაში, მაგრამ ამავე მდგომა-რების გარემოება მომავალშიც მომაკედინებელ დანაშაულს წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე, რადგანაც ყოველ შეგნებულ მოქალაქეს და მით უშერეს რევოლუციონურ ორგანიზაციის წე-რებს კარგათ უნდა ესმოდეს, რომ თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობის გართულების გამო სა-ბჭოთა რესპუბლიკისათვის გარდაუვალ სიძნელეს შეიკავს სამხედრო მოთხოვნილებათა სრული და-კმაყოფილება და ასეთ დროს საბჭოთა რესპუბლი-კის საკუთრება — სამხედრო ქონების არა სამხედრო ორგანიზაციებისა და კერძო მცხოვრებთა განკარ-გულებაში დატოვება სრულიად დაუშვებელია რე-სპუბლიკის ინტერესებისათვის.

ვითავლისწინებთ რა ყოველივე ზემო აღნიშ-ნულს, კატეგორიულად ვუძრახნებ ყველა მხარის, ქალაქის, ბათოშის მხარის, სამხრეთ ოხეთის ყვე-ლა სარაიონი და სათემო რევკომებს, რომ ისინი, მთი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობის

შემთხვევაში მთავრობის არმიის და გვარდიის უკავებილი იარაღის, სამხედრო მოწყობილობის და ურმების, ცხენების, ხარების და სხვა სამხედრო ქონების შე-გროვებას.

როგორც კერძო პირებისაგან შეგროვილი, აგრეთვე ხემოხსენებული რევკომებისა და სხვა რე-ვოლუციონის ურმების მიუღიერდობა მთავრობის არ-მის და გვარდიის კუთვნილი სამხედრო ქონება რაც შეიძლება ხახუროდ, სათანადო იქცების შე-დეგნით უნდა ჩაბარდეს ადგილობრივ სამაზრო სა-მხედრო კომისარიატებს, რომელიც ვალდებული არიან ახეთი ქონება, დაუყოვნებლივ, ვადაუგზავ-ნონ საქართველოს არმიის ცენტრალ დაწესებუ-ლებებს.

გარდა ამისა ყველა სახის რევკომებს ევალე-ბათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სამხედ-რო კომისარიატებს ჩაბარებული ქონების უახლო-ებს რკინის გზის სადგურებამდი გადმოსაზიდათ.

ამასთანავე გაფრთხილებით, რომ ცირკულია-რის დარღვევასა ან დაგვიანებით შესრულებაში შე-ნიშნული პირი, გადაყენებულ იქნებიან სამსახუ-რიდან და სასტრიკ პასუხისგებაში მიცემული.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის  
მოადგილე ხუთულაშვილი.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყ-ფილების გამგე დამბაშიდე.

1921 წ. სექტემბრის 17.

## მიწადმოქმედების სახ. კომი.

ვამტკიცებ ვ. მახარაძე  
4/VI—21 წ.

### ნორმალური წესდება

სასოფლო-სამეურნეო შშრმეფ-მწარმოებელი ამხან-გობისა.

I. ამხანაგობის მიზანი, მისი უფლება და მო-ვალეობა.

1. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის მიზანია: თავისი წევრების შეერთებული შრომით და სახე-რით ხელი შეუწყოს მეურნეობის გაუმჯობესებას და წევრთა ნივთიერი კეთილ-დღეობას.

2. ამხანაგობა მუშაობს სოფლის მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარღვეული (მაგალითად: მისდევს უმთავრესად ხენა-თესვას, ან ხენა-თესვას და მევ-ნახეობას, ან მებალეობას, მერძეობას, მეფუტკრეო-ბას, მებრეშემებას, ფრინველთა და ცხოველთა მოშენებას, მეოჯვზეობას და სხვ). შემდეგ ამხან-აგობა ცდილობს მოწყობის ნედლი მახალის გადა-მუშავება და გახალება.

3. შრომის ნაყოფიერების ასაწევათ, ამხან-

გობი ცდილობის შეურნეობაში შემოიღოს გამაუმჯობესებელი წევები და იარაღები.

4. ამხანაგობა შეძლებისამებრ შეელის თავის წევრებს შინაური მეურნეობის მოწყობაში და ყოველ მათ გაქიფრებაში.

5. ამხანაგობა, როგორც მშრომელი სამეურნეო ერთეული, ხელს უწყობს არა მარტო წევრთ, არამედ საერთო კეთილდღობასაც; მაგალითად: თავის ნაწარმოებს ამხანაგობა ასაღებს სამართლიან ფასებში და მათ ხელს უწყობს ცხოვრების გადაკლებას.

6. მთელი სამეურნეო შრომა ამხანაგობისა ეთანხმება ოებუბლივის საერთო საწარმოვო გეგმის.

7. ამხანაგობა შედის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირში.

8. ამხანაგობა მოქმედებს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კონტროლის ქვეშ.

9. ამხანაგობა სარგებლივის ურიდიული პირის კველა უფლებით.

10. ამხანაგობას აქვს საქუთარი ბეჭედი, სახლწოდების წარწერით.

## II. ამხანაგობის ხახხაზი.

11. ამხანაგობის სახსარს შეადგენს მიღებული: წევრთაგან, მთავრობისაგან და გარეშე პირთვები მიწა, სამუშაო საქმეელი, იარაღი, მხსალა და სხვა ქონება და თანხები, გრეთვე თვით ამხანაგობის მიერ შექმნილი და მის განკარგულებაში დარჩენილი ნივთერი სახსარი.

**შენიშვნა:** სივრცე ამხანაგობის მიწისა არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივ დაწესებულ ნორმას.

12. ამხანაგობისთვის სახმარად მიკემული მთავრობისაგან, წევრისაგან თუ გარეშე პირისაგან ქონება, თუ თანხა ჩაირიცხება ამხანაგობის გალად, რომელიც უნდა გასტუმრებულ იქნას თანახმათ პირობისა, ან საერთო წესისა და ჩევეულებრივ სამართლიანობის თანახმათ, თუ პირობა გამოუქავებულია, ამხანაგობისთვის სახმარად მიკემული ქონებაში და თანხებში წევრები არ იღებნ არავთარ პროცენტს.

13. ამხანაგობა კველა თავის ვალდებულობის გამო იგებს პასუხს მხოლოდ თავის ქონებით.

14. ამხანაგობის წმინდა შემოსევალი ნაწილდება, შემდეგნაირად: 1) ქელმოქმედობისათვის და კულტურული განმანათლებელი საქმეებისათვის  $5\%$ , სახელმწიფოსათვის დასახარებლათ  $10\%$ , ამხანაგობის სახსართა გასაძლიერებლათ  $10\%$ , ხოლო დანარჩენი წევრთა შორის თანაბრად.

## III. ამხანაგობის შემადგენლობა, წევრთა უფლება და მოვალეობა.

15. ამხანაგობაში წევრიდ შესვლა შეუძლია კველა სრულწლოვან პირს, განურჩელად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ხელობისა.

16. მიღება და გამორიცხვა წევრებისა ხეგბა საერთო კრების დაღვენილებით.

17. ამხანაგობაში კველა წევრი შრომობს

პირადათ. ამხანაგობის კველა წევრს უნდა ითვალისწიფროს. შეძლებისამებრ, ის შრომა, არომლისთვის მას უფრო შესწევს უნარი.

18. საერთო კრება განსაზღვრავს წევრთა შრომის მინიმუმს (ე. ი. წევრებმა უნდა იმუშაონ ამხანაგობაში არა ნაკლებ განსაზღვრული დროისა).

19. ამხანაგობის დივიდენტი (საერთო შრომით შექმნილი და გასაყოფელი შემოსევალი) იყოფება თანასწორად წევრებზე.

20. საერთო კრებას შეუძლია ცალკე გასამრჯელოც დაუნიშნოს დამატებით იმ წევრებს, რომელნიც სხვაზე მეტი მუშაობენ და სხვაზე ნაკოფიერათ.

21. ამხანაგობის გარეშე მუშაობის წევრს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როცა თავისიუფალია საერთო მუშაობისაგან (18).

22. ამხანაგობას აქვს ნები მოიწვიოს სპეციალისტი.

23. დაქირავებული შრომა დასაშეებია ხენათვების, მკისა და სხვა საჩქარო მუშაობისთვის, როცა ამხანაგობა ვერ აუვა საქმეს თავისი ძალით.

**შენიშვნა:** სპეციალისტების და სხვა დაქირავებულ შრომის პირობები განისაზღვრება სამაზრო სადგელ-მაჟულო განყოფილების მიერ, შრომის კანონების თანახმათ.

24. ამხანაგობის წევრს უფლება აქვს ამხანაგობიდან თავის ნებით გასვლისა. ამ წევრთხვევაში ამხანაგობას შეუძლია მისცეს ყოფილ წევრს ნახვარი იმისი რეც მას ერგება საბოლოო ანგარიშით. გასულ წევრს უნდა გაუსწორდეს ანგარიში არა უგვიანეს სამი თავისა საოპერაციო წლის დამთავრების შემდეგ.

25. წევრის გამორიცხვის მიზეზად შეიძლება იყოს საგრძნობი დარღვევა წესდებისა, საერთო კრების დადგენილებისა ან გამგების განკარგულებისა და საერთო ზიანის მიუწევა ამხანაგობისთვის.

26. გამორიცხვულ წევრს მისი ხევდლი ეძღვვა სრულიათ.

27. წევრი არ გამოირიცხება ამხანაგობიდან, თუ იგი დაკლება ამხანაგობაში მუშაობას არავთარ საპატიო მიზეზით, მაგალითად ჯარში გაწვევის ან სხვა რომელიმე საზოგადო მოვალეობის ასრულების გამო და სხვა.

## IV. წევრთა საერთო კრება.

28. ამხანაგობას განაგებს წევრთა საერთო კრება და გამგება.

29. საერთო კრება არის უმაღლესი გამგე ამხანაგობის საქმეებისა.

30. საერთო კრების განხილვის საგანს შეაღებს: შეტანა წესდებაში კვლილებისა ან დამატებისა, მიღება ამხანაგობის სამოქმედო გეგმისა და ხარჯთ-ალრიცხვისა, განსაზღვრა წევრთა შრომის, უძრავ ქონების მიღება თუ გადაცემა, დამტკიცება გამგების ანგარიშისა, არჩევა გამგებისა ან მეთაურისა მიღება წევრების და სხვა.

31. კველა კითხვა სწყდება ხმის უმეტესობით.

32. კრებას უნდა დაესწროს წევრთა არა ნაკლებ ნახევრისა.

33. წლიური საერთო კრება შეიკრიბება იანვრის პირველ რიცხვებში, შემდეგში, საერთო კრების მოწვევა შეუძლია გამკეობას ან წევრთა 1/10.

34. გამარჯობის მოქმედების განსახილველად საერთო კრებას შეუძლია აირჩიოს სარეკიზიო კომისია.

35. საერთო კრების სხდომაზე უნდა შესდგეს აქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე, მდივანი და რამდენიმე წევრი.

#### V. გ ა მ გ თ ბ ა.

36. ამხანაგობის გამგეობა შესდგება ვ ან 5 პირისაგან, რომელთაც ირჩევს საერთო კრება: თუ ამხანაგობა მცირე რიცხოვანია, იგი ირჩევს ერთ შეთაურს.

37. გამგეობა ან მეთაური განაგებს ამხანაგობის ყველა საქმეს და თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობის წესდებით და საერთო კრების დადგენილებით.

38. გამარჯობა ყველა დაწესებულებებში წარმოადგენს მთელ ამხანაგობის და აწიროვებს საქმეებს თავისი სახელით. საქმიანობის ყოველი ქალალი ხელმოწერილი უნდა იყოს გამგეობის თავმჯდომარისაგან და ერთი რომელიმე წევრისაგან, ბეჭდის დასმით.

39. გამგეობას აღრიცხული უნდა ქონდეს ყველი ქონება, რომლითაც სარგებლობს ამხანაგობა, ამხანაგობის შრომა და მისი ნაყოფი, სოფიანი სია ამხანაგობის წევრებისა. გამარჯობა დაგვენს საამხანაგო მეთაურობის გეგმას და ხარჯი აღრიცხება, ანაწილებს საქმეებს წევრთა შორის და საერთო განაკვეთს ამხანაგობის ყველა საქმეს, როგორც აღმასრულებელი ორგანო წევრთა საერთო კრებისა.

#### VI. ლ ი კ გ თ ბ ა ც ი ა.

40. ამხანაგობის გაუქმება და მისი საქმეების სათანადო ლიკვიდაცია შესაძლოა მოხდეს საერთო კრების დადგენილებით, ან მიწად-მოქმედების კომისარიატის განკარგულებით, თუ მოქმედება ამხანაგობისა ეწინააღმდეგება წესდებას ან ისეთ უზომო დავალიანების გამო, როდესაც გადახდა ვალისა შეუძლებელია.

41. ლიკვიდაციის მოსახლენად საერთო კრება ირჩევს სალიკვიდაციო კომისიას.

42. ლიკვიდაციის დროს გასტუმრებულ უნდა იქნეს ჯერ მთავრობის და ჯარებე პრითა ვალები და მხოლოდ მათი კანონით ინტერესების დაკავშირების შემდეგ დარჩენილი ქონება და თანხები განაწილდება თანასწორობა წევრთა შორის, ან ქონებას მიეკუთხა საზოგადო დანიშნულება საერთო კრების დადგენილებით.

#### განცხადების ნიმუში.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სალიკვიდაციის განკუთრებულების კოლე-

ტიურ მეურნეობის ნაწილს ან საალეგრი-მამულ-განკუთოლებას.

სოფ. მაზრა ამხანაგობა

რწმუნებული

#### გ ა მ გ თ ბ ა დ ი ბ ა.

გამგებით რა ამასთანავე: 1. ამხანაგობის შემდგრელთა სის, კინობის და მდგომარეობის აღნიშვნით, 2. ამხანაგობის დაფუძნების ოქმი 3. სამეურნეო გეგმის, საჭირო მიწის და სხვა სახსარის აღნიშვნით. 4. წესდების პროცესის ორ ცილარ, გთხოვთ აღგილობრივ შემოწმოთ წარმოდგნილი ცნობები, შეიტანოთ სათანადო რესტრში ჩვენი სამეურნეო კოლეგიუმი და აღმოუქმინოთ ვას საჭირო დაბმარება.

რწმუნებული: ხელის მოწერა.

1921 წ.

სოფ. მაზრა.

#### ფორმა ამხანაგობის შემდგენელთა სისხე.

სახელი, მიზის სახელი და გვარი	მუშაობის სატანა-რეგენილი დაგილი	შელობა	ნივთის რი ქონება	სარწმუნო ნივება	წლოვანი

ოჯახის შემადგენელობის წლოვან ბის და საბურვის ძალის აღნიშვნა

ეროვნება

პოლოგიური ჩემი

ვ კ 6 0 8 3 5 0

დამტკიცებულია 8 აგვისტოს. 1921 წ.

#### II ს ტ რ ე ქ ტ ი

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის განაკუთრებული კომისიის მოწერის შესხებ თანამდებობა დეკრეტის № 62 1921 წ. ივლის 27 თარიღით.

#### 1. საერთო დებულება.

1. მიწის მფლობელობით და მისი ურთიერთობით გამოწვეული დავის გარჩევა და გადაწყვეტილი ეკალება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის არსებულ განსაკუთრებულ სადგილ-მამუ-

ლო კომისიის და მის განყოფილებებს მაზრებში (სამაზრო კომისიები).

2. საქმე ირჩევა საჯაროთ და დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ გამოგზავნონ რწმუნებულები.

3. საქმე სწყდება თანახმად მიწის დეკრეტის № 17 და სოციალისტურ სინიდისის შიხედვით.

## 2. ორგანიზაცია

4. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატიან არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კომისიაში შედის; თავმჯდომარე, მისი მოადგილე და 7 წევრი.

5. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწად-მოქმედების კომისარიატი, ხოლო მის მოადგილეთ ითვლება საადგილ-მამულო პოლიტიკის განყოფილების გამგე; შეიღი წევრიდან ოთხს ეძღვა საადგილ მამულო პოლიტიკის განყოფილება, (თანახმათ ქვეგანყოფილებათა რიცხვისა) და თითოს: მუშათა და გლეხთა ინსპექცია, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და პროფესიონალური კავშირთა საბჭო.

6. კომისიისთან არსებობს კანცელარია, რომელიც შესლებება: მდინარე, საქმის მწარმოებლისა და მანქანაზე გადამწერისაგან.

7. კომისიის სხდომა ჩაითვლება კანონიერად, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და არა ნაკლებ ორი წევრისა.

## 3. კომისიის სამაზრო განყოფილება.

8. კომისიის სამაზრო განყოფილებაში შედის თავმჯდომარე და 5 წევრი.

9. თავმჯდომარეს ნიშნავს სახალხო კომისარი, ხოლო წევრებათ ითვლებიან სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიის წევრები და თითო წარმომადგენელი სამაზრო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პროფესიონალური კავშირისა და პარტკომისა.

10. სხდომა ჩაითვლება კანონიერათ თანახმად მეშვიდე მუხლისა.

## 4. საქმის გარჩევა სამაზრო კომისიაში.

11. ყოველი საქმე, დავა თუ პრეტენზია, იწყება და სწყდება სამაზრო კომისიაში.

12. საქმის გარჩევის დღისთვის კომისია იწვევს მხარეებს და მოწმეებს უწყებით.

13. კომისია შეუდგება საქმის გარჩევას, თუ მხარეებს ჩაბარებული აქვთ უწყებები.

14. თუ საქმე მორიგებით არ გათავსდა კომისია შეუდგება მხარეების და მოწმეების დაუკითხების და საბუთების შემოწმებას, თუ უკანასკნელი საქმი აღმოჩნდა.

15. როდესაც კომისია დაინახავს, რომ კითხვა საკმაოთ არის გამორკვეული, ადგენს თავის განახენს, რომელსაც უცხადებს მხარეებს.

16. უქმაყოფილო მხარეს შეუძლიან განახანივროს კომისიის დადგენილება 3 დღის განშავლობაში დღიდან დადგენილებისა კომისარიატიან არსებულ განსაკუთრებული კომისიაში.

**შენიშვნა:** კომისია საჯაროთ აცხადებს განსახივრების ვადას.

17. ძალაში შესული დადგენილება უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი სამაზრო რევოლუციონური კომიტეტის საშუალებით.

5. საქმის გარჩევა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

18. განსაკუთრებული კომისია, მიღების რა განსახივრებულ საქმეს, ნიშნავს გარჩევის დღეს სამი დღის განმავლობაში, დღიდან საქმის მიღებისა, და იწვევს მხარეებს უწყებებით.

19. კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება არა უგვიანეს 2 დღისა წარედგინება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დასამტკიცებლათ.

## მ ტ ა ტ ე ბ ი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კომისიის კანცელარიისა:

მ დ ი ვ ა ნ ი . . . . . 1

საქმის მწარმოებელი . . . . . 1

მანქანაზე გადამწერი . . . . . 1

ს უ ლ . . . . . 3

სამაზრო კომისიის კანცელარიისა:

მ დ ი ვ ა ნ ი . . . . . 1

საქმის მწარმოებელი . . . . . 1

მწერალი იგივე რეგისტრატორი . 1

მანქანაზე გადამწერი . . . . . 1

შ ი კ რ ი კ ი . . . . . 1

ს უ ლ . . . . . 5

## პრა-ოფიციალური განუთვილება.

### პირების განმარტება

ამას წინეთ ჩვენ შევპირდით მკითხველებს ადგილობრივ რევოლუციონების მუშაობის შეცდომების გამომხერხება. ამას ჩვენ შევასრულებთ ახლო მომავლში, ამ წერილში კი გვინდა ზოგადი შეხედულება გამოვსაქვათ ამ სავანზე.

არასოდეს არ ყოფილა შეცდომების მხილება გამოქვეყნება საჭირო ისე, როგორც ეს დღეს არის დროთა გარემოებამ შექმნა ისეთი პირობები, როდესაც პროექტისაში სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი ხშირად მეტად გამოუცდელი და მოუმხადებელია და ბევრ შეცდომებს უშვებს თავის მოვაწეობის დროს.

ყველაზე უფრო საგალალო და საშიშო ის არის, რომ ისეთ პირებს ძალიან დიდი პრეტენზიები აქვთ, მათ ჰქონიათ, რომ ისენი ბუნებრივად დაჯილდოებული არიან სახელმწიფო მოღაწეობის უნარით და არავითარი სწავლა-დაკვირვება არ ესაჭიროებათ.

რა ძირიათ გვიჯდება ჩვენ ისეთი შეხედულება!!

ადგილობრივი მუშავები, ჩვენი ქვეყნის მივარდნილ კუთხების რომ განაგებენ, ერთხელ და უკანასკნელად უნდა დარწმუნდენ, რომ სახელმწიფო საქმიანობა, ხალხის მართვა-გამგება დიდ უნარს, მომზადებას და გამოცდილებას თხოველობს.

ნურავის გონია, რომ მიყრუებულ პროვინციაში, ზარა-გზიდან შორს გაგდებულ სოფელში შშრომელი ხალხი ბნელია და ვერაფერს მიხვდება.

ისეთმა „იმედებმა“ ბეჭრს უკვე „წარტებია ფეხი“.

რაც უნდა ბნელი და უსწავლელი იყოს სოფლელი მუშა, ის შაინც შესძლებს დააფისოს კარგი და ავი! ინსტინქტი აუცილებლად აგრძნობინებს მას სინამდვილეს.

ხალხის სამართლიან შეჯავრს კი ვერავინ გაქცევია და ვერც გაექცევა.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ როდესაც ჩვენ ამა თუ იმ პირის სახელმწიფო საქმიანობისათვის მომზადებაზე ვლაპარაკობთ, დიპლომი როდი გვაქვს სახეში მიღებული.

დიპლომი, ამ სიტყვის ძელი მნიშვნელობით, ისტორიაში ჩაყლაპა, გააძათილა.

ის წინა მხოლოდ ვაბატონებული კლასების ხვედრი იყო.

„კუხარების შვილები“ კი ერთეულები სანთლით ვამოხსედები იყენება.

ჩვენ კი ისეთ რომ მუშათა კლასის სისხლით წამოდუღებულმა ცოდვებმა იმსხვერპლა გაბატონებული კლასები, დაინგრა ძლიერთა ტახტები, თვით შშრომელმა ხალხმა თავზე იდვა სახელმწიფო ხელისუფლება.

მას კი დღემდე თავისი ხალხური აკადემიების მოწყობისათვის დრო არ ჰქონია.

ის ხმალი მოღებული ებრძოდა კონტრ-რევოლუციის გველებას.

ცხადია ისეთ ხანეში, როდესაც წლებთა რიგის ნაცვლათ ისტორიისათვის მნიშვნელობა დღებს და წუთებსაც კი აქვთ, როდესაც მონობიდან განთავისუფლებული შშრომელი ხალხი თვით იღებს ხელში ახალი სახელმწიფოს მოწყობის საქმეს, საზოგადო მუშაობის უღელში მხოლოდ მუშების შვილები ებმებიან. და აქ, რევოლუციონურ აღმშენებლობის საქმეში ხშირათ ჩატრეულია სრულიად უსწავლელი ადამიანი.

მაგრამ უსწავლელობა ხოდ უძრავობა არ არის.

რომელ ჩვენგანს არ მოუსმენია სოფლის საზოგადოების, თუ ქალაქის მუშების ყრილობებზე

სრულიად უსწავლელ მუშის დინჯი, ფაქტურული და შინაგარსაინი სიტყვები.

მეორე მხრით რამდენი ვიციო ჩეკის უსრულებელი სიტყეტ დამთავრებული ჩერჩეტები.

ხალხის სამსახურის საქმეში გარდა პოლიტიკურ რწმენისა უმთავრესი მნიშვნელობა აღამიანის უნარს, მის ბუნებრივ ნიჭებს და მომზადებას აქვს.

სათანადო მომზადებას კი ის მიიღებს თუ ნიკირია კაცი, თუ მას დაკვირვება-შეგნების სურვილი აქვს და მავა ლროს არ სჭრაბობს სიზარბაუზ.

ასეთი ადამიანისათვის თვით ცხოვრება არის ნამდვილი შეკოლა და მისი საჩეკ გამოუშუქებს მას სინამდვილეს.

რაც უნდა უსწავლელი იყოს უნარით დაჯილდოებული ადამიანი ცხოვრების პირობებში გამოჩეუჩებული ის ბოლოს მაიც ამაღლდება ინტელექტუალურად და ლიტერატურულ ადგილს დაიკერს საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის.

და მისი შრომაც ჯეროვანით დაფასდება, მისი მოღვაწეობაც სათანადოთ დაგვირვენდება შშრომელი ხალხის გულში, მის ხსოვნაში.

ეხლა ვიკითხოთ — რა შედეგებს გვაძლევს ჩვენ ისეთი პირების მოქმედება, რომლებიც მოყლებული არიან უნარს, წარსულს, დინჯ დაკვირვებას, შემთხვევით პარტიული იარლიკი დაუკერებით და თავისი გონებრივ შესაძლებლობაზე ერთობ დიდი წარმოდგენა აქვთ:

რასაკეირველია — ყოველმხრივ უარყოფითს.

ასეთი „მოღვაწეები“ ჯერ ერთი ღუპავნ თავის თავს, მერე კი საშინალად ავნებენ სახელმწიფოს.

ასეთ ტიპების საბჭოთა ხელისუფლების ქვეყნა წარმოდგენილი აქვთ უპასუხისმგებლო სათარეზო მოედნათ. მათ წარმოუდგენიათ, — რომ აქ ადვილია გონებრივ სიღუბჭირის გასაღება. ამას ხელს უწყობს ის იმედი, რომ საკონტროლო პარტები ცენტრში იმყოფებიან და ძნელია ბორიტების თავის ღროშე აღვეთა.

ეს ყალბი იმედებია, დაბოლოს სახელმწიფო ხელისუფლების შეუპივარი შეჯავრი თავის ღროშე მისწვება ბორიტების და სასტიკ განაჩენს გამოუტანს მას.

მაშ ასე, მხოლოდ ცხოველმყოფელი და შემოქმედებითი ძალები სახელმწიფო საქმიანობისაკენ. — აი ჩვენი რჩევა და დარიგება.

## სახალხო სასამართლოთა დასრულების გამო.

საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობა საქართველოში თანადათნ წინ მიღის და ცხოვრების ყოველი სფერო განიცდის კიდეც ამ აღმშენებლობის ზეგავლენას.

რესეთის დიდმა რევოლუციის აღმოფხვრა ხან-გადასული ნორმები საზოგადოებრივ ურთიერთობისა და მათ ნაცვლად საქირო შექმნა შემოღება უფრო საღა და ღროს შესაფერი დამოკიდებულებისა.

არ არის ხელშთა ცხოვრების არც ერთი დარგი, რომელიც არ დაენგზიოს, ან არ შეეცალოს ჩევოლლიურიას. ძველი, ბურუუაზიული უფლება-წომბ-ლების ნაცვლად მოდის სულ ახალი, კაცობრიობასაც ჯერ არ ნახული და არ განცდილი პროლეტარიატი უფლების შეგნება!

სახელმწიფოს უფლებრივი სტრუქტურა ყოველთვის შედეგი და ნაკოფრა მისი ეკონომიკისა. თითოეულ ქას აქვს ისეთი სახართალი, როგორიც ნაკარნახევია შის ეკონომიკურ წყობილებისათვის, ანუ, უფრო გარევევით რომა ვსტკვათ, თითოეულ ქას აქვს ისეთი იუსტიცია, ისეთი სახართალი, როგორ სახართალსაც მოიხსენებ ის კოსოვოს ურთიერთობა, რომელიც არსებობს ამ ერში.

ოქტომბრის დიად რევოლუციისთვის, პროლეტარულ რევოლუციამდე — იუსტიცია და სახა-მართლო მთალი კაცობრიობის ისტორიის მთელს სივრცე სიგანეზე, იყო იუსტიცია და სახამართლო ჯამატინებულ, მქონებელ კლასებისა. ეს იყო არა უფლება ხალხისა, არამედ ეს იყო უფლება ბურ-უაზისა. რომელიც ძალით ახვევდა თავზე ხალხს თვის კანონებსა და ნორმებს.

ყოველი ქასს გაბართნაბულსა და შეძლებულ კლასს ჰქონდა თავისი მღრველი ჩამოყალი-ბებული ძლიერი აღმასრულებელი აპარატი სახა-მართლოსა, რომელი აპარატითაც იგი იცავდა თვის ინტერესებს და რომელიც მიმართული იყო წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა ინტერესებისა. არც უფრო უნაკლულო იყო ეს აპარატი, რაც უფრო ზემინევნ თა და მეცნიერო მუშაობდა იგი, მით უფრო იმორჩილებდა და იმონებდა ღარიბ-ღარისა კლასს ეკონომიკურად. დღევანდლებიც პროლეტარიატის არა ჰქონდა ისე სათანადო მოწყობილი იურიდიული — სახართლო დაწესებულება, არც ჩახერალ-სამხედრო პოლიციურ აღმასრულებელი მექანიზმი, რომელთა საშუალებითაც შეძლებულთა კლასი ისე მშენნიერად იცავდა თავს მუშათა და გლეხთა სახართლის მოთხოვნილებათვენ.

კაპიტალისტური წესტყობილების დამხობის შემდეგ, მის შემდეგ, რაც ძალაუფლება გადავიდა მუშათა და გლეხების ხელში, მთელი საშოსხართლო სტრუქტურა სახელმწიფოსა ისე შეიცვალა რომ ყოველი უფლება და უპირატესობა ჩამორთვის მქონებელ კლასს და მის ნაცვლად შეიქმნა პროლეტარული უფლება-შეკნება.

რესეტში ეს მოხდა თათქმის ოქტომბრის გა-დარჩრალებასთან ერთად, როდესაც სახალხო კო-მისარების საბჭომ გამოსცა მთელი რიგი დეკრეტებისა დეკლ სახამართლოდაწესებულებათა გაუქმების შესახებ. და შექმნა ახალი. მძიმე, მაგრამ მტკიცე ნაბ-ჯით მიღიოდა პროლეტარული მთავრობა ახალის, პროლეტარულ უფლება-ღმენებლობის ჯერ კი-დევ გაუკაფივ გზაზე, ჰქონდა რა უფლებასა არა მშენებელთა უფლებას, რომელიც აქამდე არც არ გას წაახა და არც სალევ განვითრ კილებიათ. მხოლოდ თან წლის თავკამიდებით მუშაობის შემდეგ, მიუხედავდ უძრავ შეცდომებისა და მინ-

ვევ მოხვევისა, რესეტის პროლეტარული შეტევების სახე სახამართლოებისა და უფლებულის, არამედ ეს სახე, ეს ფორმა, სახამართლოებისა და უფ-ლება მოსილების სრულიადაც არ არის უნკლუ-ლო, მტკიცე ჩამოყალიბებული, უძრავი რაღაც რამ. ის ჯერ კიდევ დედობს და დელიკს, ჯერ კი-დევ ეძებს უკითხესს სახეს ყალიბისათვის და ვა-გონია, არც შემრჩება ამ ძიების გზაზე, არ გა-დაიქცევა ამ აშარებულ გუბედ, რომელსაც წარ-მოადგენდა უფლება ბურუუაზისა.

ამ მხრივ საქართველო უკეთესს პირობებშია. მას ისცდა ის გზა ძიებისა და ბრძოლისა, რომე-ლოც გმირისა რესეტისა ამ თხის წლის განმავლო-ბაში. საქართველომ ისარგებლა რესეტის გამოც-დოლებით, მას წინ ეცო რესეტის მეტე უკვე გა-მომუშავებული ფორმები სახამართლოსა და ისლა-დარჩენლა, რომ გაღმოედო ეს მხა მხარეთი ფორმები აღვილობრივ პირობებთან შეფარდებოთ.

ამ გვარად „დებულები“ სახალხო სახამართ-ლოების შესახებ საქართველოში თითქმის აღია, ანარეკიული ისტორია „დებულებისა“ რესეტის სახა-მართლოების შესახებ.

აღნიშნულ „დებულებით“ დამყარებული სა-სახამართლო მართლაც როც სახამართლო პროლე-ტარებისა, სახამართლო გოგებებისა, როს მარვსიც თვისის სახეთა და მოწყობელებით ჯერ არ ყო ფილი ისტორიიში.

„დებულების“ ძალათ უნდა იყოს მხოლოდ ერთი სახალხო სახამართლო, მომქმედი სახარებულოს მთელ ტერიტორიაზე. ეს დებულები განიკუთ-ფება რო ნაწილიდა: ა) სახამართლო წყობილება და ბ) სამართლის წარმოება სახალხო სახამართ-ლოებში.

არსებითად სახალხო სახამართლო არის რა მხოლოდ ერთი, ამ სახამართლოში სამართლის სტრია.

- ერთი მუდმივი სახალხო მოსამართლე.
- ერთი მუდმივი შოსხამართლე და როც მო-რიგი სახალხო მსაჯული.
- ერთი მუდმივი მოსამართლე და ექვსი მო-რიგი სახალხო მსაჯული.

სახალხო სახამართლოს თათოეული ეს შემა-გენლობე არის ერთიერმანეტისაგან დამოკიდე-ბები და აქვს თვისი განსაკუთრებული იურისდი-ქცია და ქვემდებარება.

სახალხო სახამართლო მოქმედებს მხოლოდ მისდამი მიერნილ რაიონის ტერიტორიაზე, ქალა-ქად თუ მაზრაში.

როგორც განსახლება სახალხო მოხამ როლ-თა რიცხვისა, ისე დანაწილება მაზრების ტერიტო-რიისა ხმოსამართლო უბნებათ, ხდება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ და მტკიცება იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან, გარდა ქ. ქ. თბილისისა და ბათუმისა, რომელი ქალაქე-ბიც „დებულებით“ გამოყოფილი არიან ცალკე სამოსხამართლო რაიონებიც და რომელთაც სამ-

სამართლო უბნებად ანაწილებენ მუშათა და გლეხთა დეპ. ქალაქის საბჭოები. დანარჩენი ქალაქები მი-  
ეთვლებიან სათანადო მაზრებს.

„დებულება“ გულისხმობს (და ემყარება კი-  
ფეც) სასამართლოთა კოლექტიურად მოწყობის პრინციპს. ამიტომ სახალხო მოსამართლე პირა-  
და არჩევს მხოლოდ ისეთს საქმეებს, რომელიც ც  
გასაჩენია მხოლოდ „უდავო წარმოების წესით“  
ეს იგი, საქმის გარჩევის დროს მის ფუნქციის წე-  
ოდენებს მხოლოდ „დადასტურება“ რომელიმე ფაქ-  
ტისა ან მოვლენისა, რომლის დადასტურებაც სა-  
ჭიროა რესპუბლიკის რომელიმე დაწესებულებისა  
ან მოქალაქეთვის.“ ასე განმარტებს „დებულება“  
სახალხო მოსამართლის პირად როლს. ამის გარდა  
სახალხო მოსამართლე ამოწმებს სამართლიანობას  
და კანონიერებას ამა თუ იმ პირის დატუსაღები-  
სას, თვალყურს აღევნებს საბჭოთა მილიციის სა-  
გამომძიებლო მოქმედებას და ამტკეცებს, ან სც-  
ლის მომკვეთავ ზომებს, მიღებულს სასამართლო-  
სა, ან გამოძიებადან უკუქცევის თავიდან ასაკი-  
ლებლად. ამ გვარად „დებულების“ ძალით სახალ-  
ხო მოსამართლე პირადად არის მხოლოდ მეთვალ-  
ყურ რჩეანო.

ყველა სამოქალაქო საქმე, და ზოგიერთი მც-  
რე მნიშვნელოვანი სისხლის სასამართლოს საქმეც  
ირჩევა იმ სასამართლოს მიერ, რომელიც შესდ-  
გება სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო  
მსაჯულისაგან. უფრო მძიმე და რთულ სისხლის  
სამართლის საქმეებს არჩევს სახალხო მოსამართლი-  
სა და ექვსი სახალხო მსაჯულისიგან შემდგარი სა-  
ხალხო სასამართლო. სამწუხაროდ „დებულებაში“  
ნათლად არ არის გარკვეული იურისდიქცია და  
ქვემდებარება ამ თუ სასამართლოსა, თუმცა  
„დებულება“ ნებას აძლევს სახალხო მოსამართლეს  
უფრო რთული საქმეები გადასცეს ხოლო სა-  
ხალხო მოსამართლისა და ექვსი მსაჯულისაგან  
შემდგარ სასამართლოს.“

სახალხო მსაჯულებს საქმის გარჩევის დროს  
ისეთივე უფლებანი აქვთ, როგორც თვით სახალხო  
მოსამართლეს. ე. ი. ისინიც სრულ უფლებიანი  
მოსამართლენი არიან; სახალხო მოსამართლე მხო-  
ლოდ თავმჯდომარებობს მათ.

მოსამართლეთა და მსაჯულების თანამდებობა  
საარჩევნოა. თეორიულად საქართველოს უკველი  
მშრომელი შეიძლება არჩეულ იქმნეს მოსამართ-  
ლეთ თუ ის: ა) აქმაყოფილებს არჩევნების შესა-  
ხებ გამოცემულ დებულებას, ბ) აქვს გამოცე-  
ლება პროცესურ მუშაობაში (ე. ი. თუ უმუშავ-  
ნია პარტიისა, პროფესია, ქარხანა-ფაბ-  
რიკებში და სხვა) და გ) აქვს თეორიული, ან  
პრატიკულ მომზადება მოსამართლის თანამდებო-  
ბისათვის.

ამ გვარად, რესპუბლიკის ყველა მშრომელი  
ნება აქვს ამოირჩიოს, ან არჩეულ იქმნეს მოსამა-  
რთლეთ.

წესი არჩევისა ისეთივე სადაა, როგორიც სა-  
და თვით პირობაც. მოსამართლებს ირჩევენ საბ-

ჭოები, ან აღმასრულებელი კომიტეტისა და  
ტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის.  
სასამართლო საქმეებს არჩევს საჯაროდ. საქ-  
მის წარმოება უნდა იყოს სახელმწიფო (ქართულ)  
ენაზე.

განსაკუთრებული თვისება „დებულებისა“ ის  
არას, რომ მოსამართლეს უფლება ეძღვევა იხელ-  
მძღვანელოს სკურიალისტური უფლება შეგნებით  
და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამოშობოს  
დამხობილ მთავრობათა კანონები.

თვით სამართლის წარმოება, კერძოთ კი სა-  
მოსამართლო გამოძიება, რჩება რა გარეგნულია  
ინებ ისეთად, როგორიც იყო ძველ სასამართლო-  
ებში, თვითსუფალია ყოველ გვარ ფორმალიზმისა  
და ბიუროკრატიზმისგან, რაც უმთავრესი თვისე-  
ბა იყო ძველი სასამართლოებისა,

უმაღლესი საქალაქო ინსტანცია არის სახალხო  
მოსამართლეთა საბჭო. წესი განსაჩინოებისა, და-  
ხლოვებით, ისეთივე, როგორიც იყო ძველიც.

სააპელაციო ინსტანცია „დებულებით“ გაუქ-  
მებულია.

სახალხო სასამართლოებისა და სახალხო მო-  
სამართლეთა საბჭოს უმაღლესი კონტროლი ეკუ-  
თვნის იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

თუმცა სამართლის წარმოების ძირითადი  
მომენტები და ტეხნიკა ახალ „დებულებას“ გად-  
მოღებული აქვს ძველიდან და, ამ გვარად, უსარ-  
გებლოდ არ ჩაუტარებით დიდი ხნის გამოცდი-  
ლება, სახალხო სასამართლო თვისის არსებით მა-  
ინც არის ჭეშმარიტად პროლეტარული დაწესებუ-  
ლება, რომელიც ვერ არ ნამდვილ პროლეტარულ  
უფლებას.

რასაკვირველია, პირველ ხანებში, შესაძლე-  
ბელი მოხდეს სხვა და სხვა შეცდომა და სასა-  
მართლომ სათანადოდ ვერ აასრულოს თავისი და-  
ნიშნულება, შეიძლება თვით „დებულებასაც“ და-  
ქირდეს შესწორება, შესება და გადაკეთებაც-კი,  
მაგრამ ამისი არ უნდა შევვეშინდეს. არ სცდება  
ის, ვინც არაუკრს არ აკეთებს. მოვა დრო, დაგ-  
როვდება ცოდნა და გამოცდილება, ფრთას გაშ-  
ლის პროლეტარული შემოქმედება და მაშინ სავ-  
სებით გაღიფურებულება ღრმა პროლეტარულ საფუ-  
ძლებელ დამყარებული მუშათა და გლეხთა პრო-  
ლეტარული უფლება.

ლ. სარაჯიშვილი.

## კალაქო და კომუნალურ მუნიც- იპის სტატისტიკაზე.

თანამდებობები ქალაქის ცხოვრების და კომუნა-  
ლურ მეურნეობის შესწავლა შეტათ საყურადღებო  
კითხვას წარმოადგენს თანამდებროვე სტატისტი-  
კოოფიციენტს.

ამ კითხვის ყოველმხრივ შესწავლა-გაცნობა  
მით უფრო საკირთა ეხლა, როცა ჩვენი ქალაქები-

სა და სოფლების ეკონომიურ ცხოვრებაში ხდება გადატეხება, საფუძველი ეყრდნობა ახალ კომუნალურ მეურნეობას, მუშავდება და ცხოვრებაში ტარდება სახელმწიფო მემკვიდრეობრივ წარმოებათა მმართველობის ახალი ფორმები, ახალი სისტემა.

ქალაქი პროტოპლაზმაა სოციალიზმის. სოციალიზმის ჩანასახს, სოციალიზმის კონტურებს პირველათ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ქალაქში, რომელიც მრავალობის მხრივ წარმოაღენს სოციალიზმისთვის შესაფერ პირობებს. ამით აისხება, რომ კომუნალურ მეურნეობას (წყალ-სადენი, ტრამვაი, სასაკლაონ და სხვა) პირველათ ეყრდნობა საფუძველი მხოლოდ ქალაქში და შემდეგ ეს ფორმები გადადის სოფელში ნელ-ნელა.

ამიტომ შესწავლა თანამედროვე ქალაქის, მისი ცხოვრების და სოციალურ მოვლენათ, აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობის ახალი ფორმების აუცილებლათ უნდა შეადგენდეს სახელმწიფო მემკვიდრეობრივ სტატისტიკის ერთ უმთავრეს დანიშნულებას.

ამ შესწავლას აქვს როგორც მეცნიერული, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობა.

რუსეთში სახელმწიფო მემკვიდრეობრივი სტატისტიკა დიდ ყურადღებას აქცევს თანამედროვე ქალაქის შესწავლას.

მით უმეტეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ კითხვას საქართველოში, გინაიდან საქართველოში ქალაქის ცხოვრება უფრო განვითარებულია, ვიღრე რუსეთში. პირველ შეხედვით მკითხველს ეს, აღნათ, ეუცხოება. მაგრამ სტატისტიკა ამტკიცებს, რომ რუსეთში ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს  $15\%$ -ს მაშინ, როცა საქართველოში ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის საერთო მცხოვრებთა  $20\%$ -ს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენში სახელმწიფო მემკვიდრეობრივი სტატისტიკას დიდი ნაკლი აქვს. ის ვერ აქცევს საჭირო ყურადღებას ქალაქის მცხოვრებს, მის განვითარებას.

რაც უფრო ვითარდება ქალაქის ცხოვრება, რაც უფრო ღრმავდება ქალაქის მმართველობათა ამოცანები, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის ცხოვრებას.

საჭიროა ფენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან მოეწყოს სპეციალური აპარატი, სპეციალური ორგანო, რომელიც მიზნათ დაისახავს ჩვენი ქალაქების სოციალ ეკონომიური პირობების ყველმხრივ შესწავლას.

საჭიროა ქალაქისა და კომუნალურ მეურნეობის სტატისტიკა მოეწყოს ერთი სისტემით, რომ ყველა ქალაქებში სწარმოებდეს ერთნაირი ცნობების მოგროვება და დამუშავება.

ქალაქის სტატისტიკის ფუნქციები უნდა იყოს შემდეგი: 1. შესწავლა აღილობრივ ბუნებრივ პირობათა, რომელშიაც უხდება ქალაქის არსებობა, მაგალ. მოწყობილობა ზედაპირის (უსტრიქტივის მიზნისთვის) დაქმაყფილება წყლით, დახასიათება ჰავის და სხვა. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ამ კითხვებთან კავშირი აქვს ქალაქის აღმშენებლობას და სხვა ჰიგიენურ და სამეურნეო ზომებს.

2. ქალაქის სტატისტიკისთვის მაცურადებები საჭიროებას წარმოადგენს ქალაქის სივრცის (პლაშტადები) გამორკვევა და თუ როგორ არის მოხმარებული ეს სივრცე. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მიწის ნაჭრების უტილიზაციას.

3. უნდა მიექცეს ყურადღება ქალაქის კეთილმოწყობილობას: ქუჩებს, ბაღებს და სხვა..

4. ბაღის საკითხი, მისი ყოველმხრივ გამოკვლევა, დახასიათება ბინების—ეს დღეს ერთი თავსატეხი საკითხია ყველა ქალაქებისთვის. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრისთვის საჭიროა მისი ყოველმხრივი შესწავლა. მაგალ. რაოდენობა ბინების, მათი ლირება, კუმატურა, რამდენი სული მოდის თითო ოთახზე საშუალოთ, რაიონებათ დანაწილება ბინებისა, მათი უზრუნველყოფა წყალ-სადენით, ელექტრონი და სხვა. თუ ეს კითხვები ყოველმხრივ გამოკვლეული და აწონილ-დაწონილი არა, ისე ძნელია საბინაო საკითხის გადაწყვეტა. დღეს კი ჩვენი ქალაქების დიდ უმრავლესობას ეს ცნობები სრულებით არ მოეპოვება. სწორეთ ამით აისხება ის ქოსი, რომელსაც აღილი აქვს საერთოდ საბინაო განყოფილებებში.

5. მცხოვრებთა სტატისტიკა ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციათაგანია ქალაქის სტატისტიკისთვის. მცხოვრებთა რაოდენობასა და შემადგენლობის გამოკვლევა ფიზიოლოგიური და დემოგრაფიული მხრით, აგრეთვე სოციალური თვალ-საზრისით, გამორკვევა მცხოვრებთა დინამიკის კითხვების (ქორწინება, გაყრა, დაბადება და სიკვდილი) წარმოადგენს არა თუ დიდ მეცნიერულ ნტერესს, არა მდგრად და დიდ პრაქტიკულ საჭიროებასაც ქალაქის მართვა-გამეობისთვის.

მცხოვრებთა სტატისტიკასთან მჭიდრო კავშირი აქვს უბეღურ შემთხვევებს, თავის მოკვლას და სხვა.

6. ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ქალაქის სტატისტიკას უყენებს ამოცანათ მთელ რიგს. სიკვდილის და გადამდებარების გამოკვლევა, საექიმო დახმარება მცხოვრებლებს და მისი მასშტაბი, აბანობი, ყვავილის აცრა, დეზინფექცია, — თუ რა მასშტაბით სწარმოებს ეს ზომები, — ყველა ამის აღნუსხვა-გამოკვლევა და ანალიზი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქალაქის სტატისტიკისთვის.

7. ქალაქის სტატისტიკის უნდა მიაქციოს აგრეთვე ყურადღება თუ ვინ, რა კატეგორიის ხალხი სარგებლობს ჰიგიენური ხასიათის დაწესებულებებით, ე. ი. საავადმყოფოები, ამბულატორიებით, ექიმებით სახლში, აბანობით და სხვა.

8. ქალაქის მცხოვრებთა სიჯანსაღე და ინტენსივობა დამოკიდებულია აგრეთვე გამოკვების საკითხთან. სასურათო სტატისტიკის წარმოება ქალაქებში აუცილებელი ფუნქცია ქალაქის სტატისტიკისთვის.

8. ქალაქის სტატისტიკას არ შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება თუ რას ხარჯავს მცხოვრებებით თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებ-



ლათ. ქალაქის მცხოვრებთა ბიუჯეტის გამოკვლევას მდებარე აქცის მარტო მეცნიერული, არაშედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

9. სახალხო განათლების სტატისტიკა მისცემს ქალაქებს სწორ და უტყუარ სურათს, თუ როგორ უნდა იყოს დაყენებული ეს საქმე. სტატისტიკა უჩვენებს როგორც უარყოფითი მხარეებს, აგრძოვე დადებითს გადადგმულ ნაბიჯებში. ამიტომ ამ დარგს აუცილებლათ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

10. მორალურის ტატისტიკის წარმოება, — მცხოვრებთა მორალური მხარეების გამოკვლევაც მეტად საჭირო საგანია ქალაქის სტატისტიკისათვის.

ძნელია ამ მოკლე წერილში ჩამოთვლა ყველა იმ საკითხების, რომელიც აუცილებლათ უნდა აინტერესებდეს ქალაქის სტატისტიკას. კოოპერაცია, მრეწველობა, ვაჭრობა, ქალაქის მეურნეობა, ფინანსები, ყველა ეს ისეთი მეტად საჭირო საკითხებია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ქალაქის სტატისტიკა. იმ საკითხების გამოკვლევას არ აქვს მარტო აკადემიური ხასიათი როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მათ აქვთ აგრძოვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

იმდენათ, რამდენათაც კოლექტიური მეურნეობა ქალაქებიდან სოფლებში გადადის, ქალაქისა და კომუნალურ მეურნეობის სტატისტიკამ ამასაც უნდა მიაქციოს ყურადღება და შეისწავლოს ის მეცნიერულათ.

მთელი ჩვენი უბედურება იმაშია, რომ არ გვაქს სწორი სტატისტიკა ყველა იმ მოვლენათა, რომელთაც მჭიდრო კაშირი აქვთ ჩვენს ექონომიურ-სოციალურ პირობებთან.

ამ მხრით ასეთი სტატისტიკის უქონლობით ფერხდება საქმე, ძლიერდება ქაოსი, არა სჩანს გამოსავალი.

სამწუხაროთ, სტატისტიკას, სტატისტიკის დაუწენებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ეს კი დაუშვებელია. სოციალიზმი წარმოუდგენელია უსტატისტიკოთ. მომავალი სოციალისტური წესწყობილება აუცილებლათ უნდა ემყარებოდეს სწორ სტატისტიკურ ცნობებზე. მომარაგება, განაწილება, დამზადება თხოვლობს სტატისტიკურ აპარატის იდეალურათ მოწყობას.

ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სტატისტიკას, მის კარგათ დაყენებას და ამუშავებას.

უმთავრესი ყურადღება კი უნდა მიექცეს ქალაქის სტატისტიკას, ვინაიდან ხაძირკველი სოციალიზმს და სოციალისტურ მეურნეობას ჩაეყრება მოლოდ ქალაქში.

ა. 6.

## თბილისის მცხოვრებთა გამოკვების საპირის.

თანამედროვე სასურსათო კრიზისის დროს სახელმწიფოს ერთ უმთავრეს საზრუნვა საგანს შე-

აღენს გამოკვების საკითხის ყოველმხრივ მეცნიერება უნდა, გამოკვლევა და შემდეგ სტატისტიკური მასალით ხელში მომზადებული ბრძოლა ამ კრიზისთან.

ძნელია მოკლე წერილში ამ შეტათ რთული და თავსატეხი საკითხის არსებითად ამოწურვა.

ჩვენ აქ შევეცდებით მხოლოდ ციფრებით დავანახოთ მკითხველს თუ როგორ მიმდინარეობდა გამოკვების საკითხი შევიდობიან და ომის დროს, რამდენათ კმაყოფილდებოდა თითოეული მჭამელი სურსათის მხრით, რამდენათ დაეცა მისი გამოკვება.

ამ საკითხის გამოკვლევისთვის საჭიროა ვიცოდეთ რაოდენობა საანგარიშო წლებში:

- 1) მცხოვრებთა და
- 2) შემოზიდულ საქმელთა.

გამოკვების საკითხის ანალიზისათვის ჩვენ ვიღებთ 3 უმთავრეს საგანს: პურს, ხორცს და წყალს და ვარკვევთ თუ რამდენათ კმაყოფილდებოდნენ თბილისის მცხოვრები ამ უმთავრესი საგნებით უკანასკნელ წლებში.

ამ საკითხის გამოსარკვევათ ჩვენ ვიღებთ სამხერიოდებები: 1913 წელი (ომის წინა წელი, მშეიცლიბიანი ხანა), 1916 წელი (მსოფლიო ომის მე-3 წელი, რევოლუციის წინა ხანა) და 1920 წელი (რევოლუციის მე-4 წელი).

სანამ შეუდგებოდეთ იმის განხილვას, თუ როგორ კმაყოფილდებოდა ამ დროს განმავლობაში საშალოთ თითოეული მჭამელი, საჭიროა გამოვარკეოთ დაახლოებებოთ ამ დროს განმავლობაში თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა.

ამ საკითხის გმირებულება მეტად ძნელი გახდა ამ უკანასკნელ წლებში, ვინაიდან თბილისი სხვა და სხვა პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგრადიერების გამო დიდ ცვალებადობას განიცდის. ამ მხრით თბილისი მოგვავონებს ზღვას, სადაც ქარიშხლიან დღეს ტალღები ხან-მოგორდებიან, ხან მიგორდებიან. საქართველოს მეზობელ რესპუბლიკებთან ომი, პოლიტიკური მდგრადიერება საზღვრებზე, შინ მიღებული სხვა და სხვა ზომები ქალაქის განსატვირთვათ, ყველა ეს ბალებდა მეტად დიდ ცვლილებებს მცხოვრებთა რაოდენობაში და ძნელი ხდებოდა ნამდვილი რიცხვის გამონახვა.

ნორმალურ პირობებში თბილისის მცხოვრებთა ზრდა გამოიხატებოდა 3,63 პროც.-ში.

მაგალითად 1876—1897 წლებში თბილისი იზრდებოდა წლიურად 2,55 პროცენტით\*). 1876 წლის აღწერამ მოგვცა 66.147 მცხოვრები, 1897 წლის აღწერამ კი 159.590 მც.

მაგრამ შემდეგ ეს ნორმალობა იჩრდება და ჩვენ ვხედავთ ზრდას 4—5 პროც.-მდე წლიურათ.

ზემოთ მოგვანილი ნორმალური პროცენტის მიხედვით 1906 წელს უნდა ყოფილიყო თბილისში 196.216 მცხოვრები.

\*) იხ. თბილისის სტატისტიკური ბიუროს ბიულეტენი № 3—1906 წ.

ნამდვილიდ კი, როგორც სჩანს ამ წელს პოლიციის მიერ მოხდენილ რეგისტრაციიდან, ყოფილი 234.915 მცხოვრები.

ასეთი არანორმალური გაზრდა მცხოვრებთა ამ წელს აისწერა სომხეთიანთა შეტაკებით ამიტოვავებისის სხვა და სხვა ქალაქებში, რომელთა მცხოვრები იფარებდენ თავს თბილისს, როგორც უფრო მშეიღებიან ქალაქს.

ამიტომ ამ უკანასკნელ წლებში თბილისის მცხოვრებთა ზრდის გამოსარეკვევით ჩვენ ვერ ვისარგებლებთ 2,55 პროცენტით, აუცილებლად უნდა მივიღოთ 4 პროც.\*\*) ეს არის საშუალო ზრდა თბილისის ამ უკანასკნელ წლებში.

პროც. ზრდა.

1897 წლის იღწევით თბილისში ითვლება	146.164 მც.
1910      "      "      "      305.207      " 5,93	
1914      "      "      "      343.950      " 3,03	
ამნაირათ საშუალო ზრდა უდრის (5,93 +	

3,05:2) = 4,48 პროც., ან მთელი მომახდენილი 4 პროც.

ამის მიხედვით ჩვენ მიერ ზემოთ აღმოავ წლებში ითვლება:

1913 წელს	333.000 მც.
1916      "      "      400.000      ***)	
1920      "      "      450.000      "	

ი ეს რიცხვები უნდა მივიღოთ საერთო მცამელთა რიცხვით თბილისში აღნიშნულ წლებში.

### 1. ხორცით დაქმაყოფილება.

გამოსარკვევით იმისა, თუ რა რაოდენობა ხორცისა დახმარჯულია აღნიშნულ ხანებში per capita (თითოეულ სულზე), საჭიროა ვიკოდეთ მცხოვრებთა რაოდენობის გარდა:

1. მორეკილ და დაკლულ საქონელთა რაოდენობა.

2. სხვა და სხვა ჯურის საქონლის წონა, რომ საქონელთა რაოდენობა გადატანილ იქნება წონაზე.

3. უკარგისი ხორცის (ობრივი) რაოდენობა, რომელიც არ იძარჯება.

### ხორცის რაოდენობა თბილისში

1913 წელს.

სახაკლამზე დაკლულ პირუფების დასახელება	რაოდენობა	წონა 1 სუ- ლის	საერთო წონა ხორცის	15 პროც. დაქ- ლულათ ჩამოტა- ნილი	უკარგისი ხორცი	მოდის per capita წლიური
მსხვილ-ფეხა საქონელი	62.034	7 კ.	438.238	65.136	4.102	1,5
ხბო . . .	3.171	1,6	5074	761	38	0,017
ლორი . . .	26.210	4	104.840	15.726	2.918	0,35
ცხვარი . . .	129.519	1,25	161.898	24.285	24	0,56
კამეჩი . . .	9.794	9	88.146	13.222	—	0,31
ბატყანი . . .	38.263	15 გ.	14.349	2.152	—	0,05
გოქი . . .	231	20 "	116	17	—	0,0004
<b>სულ</b>	<b>269.222</b>		<b>808.661</b>	<b>121.299</b>	<b>7.082</b>	<b>2,7874</b>

\*\*) იბ. თბილისის ქალაქის სტატისტ. ბიულეტენი 1920 წ. № 1—6.

\*\*\*) იბ. Продовольственное дело, вып. I, изд. Тифлисской Городской Управы.

1916 წელს

საქონლი  
შინაგან საქმეთა ცხხლის კომისარიატის

სახაკლაობზე დაკალულ პირულების დახახელება	რომელიმება	წონა 1 სუ- ლის*	საერთო წონა ხორცის	15 პროც. დაკ- ლულათ ჩემოტან და დაფარ. დაკლ.	უვარვისი ხორცი	მოდის per capita ჭლიური
მსხვილ-ფეხა საქონელი	55.001	7 ფ.	385.007	57.751	2.585	1.1
ხბო	2.277	1,6	3.643	546	42	0,01
ღორი	20.703	4	82.812	12.422	1.573	0,23
ცხვარი	181.671	1,25	227.089	34.063	54	0,65
კამერი	17.409	9	156.681	23.502	—	0,45
ბატყანი	17.708	15 გ.	6.640	996	—	0,02
გოჭი	1.710	20	855	138	—	0,002
ბერწი კამერი	12.880	9 ფ.	115.920	17.388	—	0,33
ცხენი	14	7,5	105	16	—	0,0003
სულ	309.373	—	978.752	146.822	4254	2,7923

1920 წელს

მსხვილ-ფეხა საქონელი	22.876	7	160.125	24.018	აქ უვარვი- სი ხორცი	0,41
კამერი	8.793	9	79.137	11.870	არ შედის	0,20
ცხვარი	46.471	1,25	58.089	8.713	არ შედის	0,14
ღორი	11.103	4	44.412	6.661		0,12
სულ	89.242	—	341.763	51.263	—	0,87

ასე რომ ხორცის ხარჯი გამოიხატებოდა

წელი	1913	1916	1920
დახარჯულ ხორცის რა- ოდენობა	922.373 ფ.	1.121.320	493.026
Percapita სუ- ლზე მოდის	2,7874	2,7923	0,87
აკლია ნორ- მალურ საქი- როების % -ში per capita	ნორმალუ- რია**) გადაჭარბე- ბულია 5 გ/	86,8	

\*) წონა აღებულია თანაბმდი ლოსიციის გა-  
მოქვეყნისა, ი. ე. «Вестник Статистики» № 1—4  
1920 გ. „Потребл. хлеба и мяса в 1918—1919  
г. г.“

1916 წელს გაძლიერებული დაკლა საქონ-  
ლის თისხნება იმის პირობებით, ამ დროს ქოლაქის  
სახაკლაობ შეტათ ინტენსიურათ მუშაობდა, ვინი-  
დან მეტად ბევრი ხორცი იყო საჭირო ჯარისტოვის.  
პირუტყვი იმის ხანაში არა თუ ახლო-მახლო სო-  
ფლებიდან ჩამოყავდათ, არამედ სამხედრო და სი-  
სურსათთ თრგანიზაციები სხვა და სხვა მხარეებში  
ყიდულობდნენ პირუტყვს და ერეკებოდნენ თბი-  
ლისში, რომ დაეკმაყოფილებით ჯარის შოთხოვ-  
ნილება.

1920 წელს კი ჩვენ ვხედავთ, რომ მცხოვრე-  
ბლები იქმაყოილებენ ნორმალურ საჭიროების  
მხოლოდ 31,2 პროცენტს.

\*\*) იგივე წიგნიდან ნორმალური საჭიროება  
ხორცზე ირყევა 1,6 ფუთიდან 3,8 ფუთიმდე. ასე  
რომ 2,78 ფ. უნდა ჩავთვალოთ ნორმალურ რა-  
ოდენობათ.

## II. პურით დაკმაყოფილება.

ხორბლეულ - უქვილეულობა შემოტანილია თბილისში:

1913 წელს . . .	4.486.288 ფუთი*)
1916 " . . .	1.752.754 " **)
1920 " . . .	1.705.062 "

ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ 1916—1920 წ. შექმნილ პირობების გამო აღნიშნული სანოვაგე სხვა წყაროებიდანაც ძალიან ბევრი შემოდიოდა თბილისში, მაგ., კავკავიდან და მახლობელ სოფლებიდან შარა-გზით, ამიტომ აღნიშნული რაოდენობა ხორბლეულ-უქვილეულობის დაახლოვებით ამ წლებში უნდა გადიდეს 20 პროც.

ამის მიხედვით:

წლები	1913	1916	1920
რაოდენობა შემოზ.ხორბ. უქ. (ფუთი)	4.186.288	2.103.305	2.046.074
მცხოვრებთა რაოდენობა	333.000	400.000	450.000
თითო სულზე მოდის საშუ- ალოთ(ფუთი)	13,5	5,25	4,55

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ პურით 1913 წ. ნორმალურათ იკვებებოდა თბილისი (13 ფუთი შეადგენს დაახლოვებით ნორმას (per capita-ზე). 1916 წელს შემოტანილი პური აკმაყოფილებდა მცხოვრებლებთა საჭიროების მხოლოდ 40 პროც. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თბილისი წინეთ ყოველთვის ქონდა 3—4 თვის მარაგი პურით. ამიტომ 1916 წლის რაოდენობა პურის უნდა გადიდეს ნორმალური საჭიროების (13 ფუთი სულზე) 3 თვის რაოდენობით. ამნაირად მივიღებთ სულზე 8,5 ფუთს, ე. ი. მცხოვრებლები იღებდენ ნორმალური მოთხოვნილების 65,4 პროც.-ს.

1917 წლიდან მარაგი აღარ აქვს თბილისს. ამიტომ 1920 წლის შემოზიდული რაოდენობა არის წმინდა ხარჯი თბილისის. ამ წელს მცხოვრებლები იკმაყოფილებდენ საჭიროების მხოლოდ 35 პროც.-ს.

თუ გადავვლებთ თვალს რუსეთს, 1918—1919 წ. განმავლობაში საერთო მოხმარება ხორ-

\*) См. „Статистическое движение хлебн. грузов за 1913 г.“

\*\*) „См. за 1916 г.“

ბლეულობა-ფქვილეულობაზე per capita-ზე აღმოჩენა 8,8 ფუთს მომხმარებელ რაიონებში. თუ პურის მომწევ რაიონებს ავიღებთ, იქ კი რუსეთში სულზე მოდიოდა 11,49 ფ. პური, ე. ი. თითქმის ნორმა.

## III. წყლით დაკმაყოფილება.

მცხოვრებთა წყლით დაკმაყოფილებას აქვს დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა. სხვა და სხვა გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ საზოგადო ეპიდემია და სხვა ათასგვარი ავაღმყოფობანი მდგინვარებენ სწორედ იქ, საღაც წყლის ნაკლებობას აქვს ადგილი.

ვნახოთ ახლა თუ რა პირობებშია ამ მხრით თბილისი.

საშუალო დღიური დაკმაყოფილება წყლით 1905 წლიდან მოყოლებული 1920 წლამდე გამოხატულია შემდეგნაირად:

თვეები	წ ე ლ ი წ ა დ ე ბ ი		
	1913	1916	1920
იანვარი	2,33	3,25	2,45
თებერვალი	2,12	3,47	2,31
მარტი	2,79	3,41	2,61
აპრილი	3,02	3,12	2,66
მაისი	3,08	3,70	2,45
ივნისი	3,57	3,86	2,47
ივლისი	3,61	3,82	2,6
აგვისტო	3,21	3,76	2,93
სექტემბერი	2,78	3,69	2,9
ოქტომბერი	2,45	3,59	2,88
ნოემბერი	2,25	3,36	2,53
დეკემბერი	2,27	3,32	2,26
საშუალოთ	2,79	3,55	2,59

წყლის მოთხოვნილება per capita-ზე უდრის დღეში 150 ლიტრას, ანუ 10 ვედრას. ეს რაოდენობა ნავარაუდევია მიუნენის ინუ. მეტცის მიერ. (იხ. „Водоснабжение гор. Тифлиса“, изд. Т. Г. У., стр. 175).

სულ მოღენილია წყალი ქალ. ავტოლის წყალსადენით 1906 წლიდან დაწყებული 1920 წლამდე 3563 ლარი 300 ლარით გადასაცავისათვის.

წლები	1906	1907	1908	1909	1910	1911	1912	1913	1914	1915	1916	1917	1918*)	1920
რაოდენობა ველ- როში														390,560,005
საშუალოდ დღეში														1,070,028

ამნაირად თბილისის მცხოვრებლები იქმაუთვილებენ საჭიროების მხოლოდ 29—30 პროც.-ს.

საერთოდ თბილისი მუდამ განიცდიდა წყლის ნაკლებობას, ავტოლის წყალსადენის მას ვერ აქმაუთვილებდა, რის გამო ათეული წლების განმავლობაში სწარმოებს მუშაობა ახალი წყაროების გამონახვის შესახებ. დამზადებულია სხვა და სხვა პროექტები, მაგრამ რეალურათ ეს კითხვა ჯერაც არაა გადაწყვეტილი.

#### დ ა ს კ ვ ნ ა:

თბილისის მცხოვრებლები იქმაუთვილებდნენ ნორმალურ საჭიროების შემდეგს პროცენტებს:

წლები	პროც. სა- ჭიროების	ხორცის სა- ჭიროების	წყლის საჭირო- ების
1913	104 პრ.	100 პრ.	23,25 პროც.
1916	65,4 პრ.	100,5 პრ.	29,6 პროც.
1920	35 პროც.	31,2 პრ.	21,6 პროც.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ მშვიდობიან დროდან მოყოლებული რევოლუციის წინა წლამდე თბილისი ნორმალურათ იქმაუთვილებდა მხოლოდ ხორცის მოთხოვნილებას. რევოლუციის ხანაში ხორცით დაკმაყოფილება თანდათან ეცემა და 1920 წელს კი მცხოვრებლები იქმაუთვილებდნენ ნორმალური მოთხოვნილების მხოლოდ 31,2 პროცენტს.

პურით დაკმაყოფილება ეცემა ომის ხანაში.

\*) 1918 წლის მეორე ნახევრის ცნობები არა გვაქვს. აღებული ცნობები გამოანგარიშებულია ნახევრი წლის ანგარიშიდან. არა გვაქვს აგრეთვე 1919 წლის ცნობებიც.

მსოფლიო ომის მე-3 წელს მცხოვრებლები იქმაუთვილებენ ნორმალური საჭიროების მხოლოდ 65,4 პროცენტს, ხოლო რევოლუციის მე-4 წელს ნორმალური მოთხოვნილების 35 პროცენტს.

წყლით კი მცხოვრებლები არ ყოფილან სრულად დაკმაყოფილებული არც ერთ აღებულ პერიოდში.

ასეთია საერთო სურათი თბილისის მცხოვრებლებთა გამოკვებისა.

როგორც სჩანს ციფრებიდან აქ ჩვენ საქმე გვაქვს მეტათ უნუგებო მდგომარეობასთან. გამოკვების ნორმალურ საჭიროების მხოლოდ 31—35 პროცენტის დაკმაყოფილება ცხადია, დიდი საფრთხოების წინაშე აუცნებს მოქალაქეს და თანდათანობით განაღვეურებისაკენ მიაქანებს მის ფიზიკურ არსებობას.

მართალია, ეს მოვლენა საერთოა. მისი მიზეული ღები ღრმათავა გადანასკველი მსოფლიო ომის მიერ შეემნილ საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკურ პირობებთან. ამ საშინელი მდგომარეობის გამოსწორება ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება. საჭიროა ხანგრძლივი და თანდათანობითი შეუპოვარიბრძოლა მდგომარეობის გაშოსასწორებლათ. ეს კი საერთო საკითხია დღევანდელ პირობებში. მაგრამ ამ საერთო საკითხის გადაჭრაში დიდი დადგებითი მნიშვნელობა აქვს აღილობრივ თრგანოების ინიციატივას, კულტურულ მოქალაქეთა ამოქმედებას ამ საჭირო რომელ საკითხის მოსაგვარებლად.

ყველა მოქალაქე, ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ღრმათ ჩაუკვირდენ ამ საშინელ მოვლენას, რომელიც მოსპობას უქადის კაუნდრიობას, და მიიღოს ყოველივე ლონისძიება ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში.

მხოლოდ შეერთებულ ძალებით შეთანხმებულ მუშაობას შეუძლიან თავიდან აგვაცილოს მოხალისებული უბედურება და ნორმალური კალაპოტში ჩაყენოს ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება.

ა. რუხაძე.

# შინაგანი

## გვ. XV-ე №-ში მოთავსებულ მასალების:

- 1) დეკრეტი № 65 საქ. რეპ. კომიტეტისა საზოგადოებრივ—საშიშ მოქმედებისათვის ბრძანებულ არასრულ წლოვანთა კომისიის შესახებ.
- 2) „ № 66 საქ. რეპ. კომიტეტისა შემოსავალ-გასავლის აღრისცვათა წესის შესახებ. გვ. 1—9.
- 3) დადგენილება № 54 საქ. რეპ. კომიტეტისა საბჭოთა რესეფის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის დარჩების შესახებ.
- 4) „ № 56 საქ. რეპ. კომიტეტისა ტყავის მოსაქმეთა დროებით მონილიზაციის შესახებ.
- 5) „ № 57 საქ. რეპ. კომიტეტისა ტყავის სარგებლობის თაობაზე საქ. რეპ. კომიტეტის მიერ 1921 წლის პერიოდის 19-ის თარიღით და 41 №-ით გამოცემული ბრძანების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ. გვ. 9—10.
- 6) ბრძანება № 75 საქ. რეპ. კომიტეტისა ამ. 3. ხუთულაშვილის და გ. ჩხეიძის საქ. ს. ს. რესპ. უზენაეს რეპ. ტრიბუნალის წევრებიდან დანიშვნის შესახებ.
- 7) „ № 76 საქ. რეპ. კომიტეტისა იასონ ლორთქიფანიძის საქ. ს. ს. რესპ. სახალხო ბანკის მმართველიდან დანიშვნის შესახებ.
- 8) „ № 77 საქ. რეპ. კომიტეტისა ამ. ალექსანდრე კამარაულის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის მთავრილის თანამდებობიდან განთავისუფლებათა ტე-
- 9) „ № 68 საქ. რეპ. კომიტეტისა ამ. ელისაბედაშვილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. გვ. 10—11.
- 10) დებულება საქ. რეპ. კომიტეტისა სახელმწიფო ფო გამომცემლობის შესახებ. გვ. 11—12.
- 11) ბრძანება შინ. საქ. სახ. კომისარიატისა გვ. 12.
- 12) ინსტრუქცია შინ. საქმეთა სახ. კომისარიატისა სამაზრო და ქალაქის რევკომებთან არსებულ შინა-შმართველობის განყოფილებათა გამგების რეგულირებულ ყრილობთა მოსაწყობათ. გვ. 12—13.
- 13) ცირკულიარი შინ. საქ. სახ. კომისარიატისა კველი სამაზრო რევკომს. გვ. 13—14.
- 14) დადგენილება შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის. გვ. 14.
- 15) სახალხო კომისართა საბჭოს ნაკაში ახალი ცენტრალური პოლიტიკის საფუძვლების გატარების შესახებ. გვ. 14—17.
- არა რეიტიალური გაცემის მიზანისათვის.
- 16) ქუთაისის გუბერნიის მელიორ ციის საკითხი. გვ. 17—19.
- 17) რუსეთის ს. ფ. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის ახალი საბჭო. გვ. 19—21.
- 18) რეზოლუცია. გვ. 21—23.